მენორა

ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲔᲑᲠᲐᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1993 ᲬᲚᲘᲡ �მᲐᲠᲢᲘᲓᲐᲜ

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ (ᲮᲔᲨᲕᲐᲜᲘ) 15-30 №22 (356) (5772) 2011

"מנורה" עיתון יהודי בגורגיה

ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘᲡ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲢᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

ᲞᲐᲚᲔᲡᲢᲘᲜᲘᲡ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ: ᲒᲐᲔᲠᲝᲡ ᲣᲨᲘᲨᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲖᲔ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲘᲡ ᲩᲐᲕᲐᲠᲓᲜᲐ ᲡᲐᲛᲐᲠᲪᲮᲕᲘᲜᲝ ᲐᲠ ᲘᲫᲜᲔᲑᲐ

კომისიამ, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალი წევრი ქვეყნების მიღებას კურირებს, გაეროს სრულუფლებიანი წევრის სტატუსის მინიჭების თაობაზე, არ არსებული პალესტინის სახელმწიფოს თხოვნა არ დააკმაყოფილა და პალესტინელების განაცხადი უშიშროების საბჭოს დაუბრუნა.

განაცხადს თან ახლავს კენჭისყრის შედეგები, რომლის თანახმადაც გაეროში პალესტინის გაწევრიანებას მუდმივი წევრი 15 ქვეყნიდან მხარი მხოლოდ 8 სახელმწიფომ დაუჭირა. შეგახსენებთ, განაწესის მიხედვით, პალესტინელებს სულ მცირე 9 ქვეყნის მხარდაჭერა უნდა მოეპოვებინათ.

ამ ეტაპზე უცნობია, თუ რომელმა ქვეყნებმა დაუჭირეს მხარი პალესტინელებს, თუმცა მანამდე ცნობილი იყო, რომ ამ იდეის მხარდამჭერებად გამოდიოდნენ: რუსეთი, ჩინეთი, ბრაზილია, ინდოეთი, სამხრეთ აფრიკა და ლიბანი. სავარაუდოდ, მათ მხარი ასევე დაუჭირეს ნიგერიამ და გაბონმა. საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, კოლუმბია და ბოსნია თავიდანვე აცხადებდნენ, რომ კენჭისყრაში მონაწილეობისგან თავს შეიკავებდნენ. მოწინააღმდეგეთა რიგებში იყვნენ აშშ, გერმანია და პორტუგალია.

ახლა უკვე პალესტინის ხელმძღვანელობამ უნდა გადაწყვიტოს განაცხადს უკან გამოითხოვს, თუ აღნიშნული საკითხის უშიშროების საბჭოზე გატანას მაინც მოითხოვს, მით უფრო, რომ ამ იდეის მარცხი აშკარად სახეზეა.

გაეროში პორტუგალიის წარმომადგენელმა, უშიშროების საბჭოს მორიგე თავმჯდომარემ — ხოსე ფილიპე მორაესმა განაცხადა, რომ მიმღებმა კომისიამ პალესტინის საკითხზე ანგარიში უკვე წარუდგინა გაერთიანებული ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს, რომელიც იმსჯელებს იმაზე, თუ რა ღონისძიებები გატარდება შემდგომში.

აღსანიშნავია, რომ გაეროში პალესტინის გაწევრიანების გარანტიას არც უშიშროების საბჭოს 9 ქვეყნის მხარდაჭერა იძლევა, რადგან აშშ-მ პირობა დადო, რომ აუცილებლობის შემთხვევაში ვეტოს უფლებას გამოიყენებს.

როგორც გაეროში პალესტინის დამკვირვებელმა რიად მანსურმა განაცხადა, უახლოეს დღეებში ზოგად საფუძველზე გაეროში პალესტინის გაწევრიანების თაობაზე, პალესტინის ავტონომიის ხელმძღვანელობა არაბული ქვეყნებისა და მათი მხარდამჭერი სახელმწიფოების ლიდერებთან მოლაპარაკებებს გამართავს.

მანსურის თქმით, თუ პალესტინელები გადაწყვეტენ, რომ ეს საკითხი უშიშროების საბჭოზე გაიტანონ „მისი ჩაგდების შემთხვევაშიც კი სამარცხვინო არაფერია, რადგან გაეროში პირველი მცდელობით არც ისრაელი, იტალია, კუვეიტი და კიდევ რამდენიმე სხვა ქვეყანა მიიღეს“.

პალესტინის ნაციონალური ადმინისტრაციის მეთაური მაჰმუდ აბასი კი, რომელიც ამჟამად ტუნისში იმყოფება, აცხადებს, რომ გაეროს სრულუფლებიანი წევრობის იდეაზე პალესტინელები უარს არასოდეს იტყვიან. კომისიის გადაწყვეტილების კომენტირებისას, აბასმა განაცხადა: — „მათი უარი სულაც არ ნიშნავს იმას, რომ აღნიშნული საკითხი ჩავარდა“. მან დასძინა, რომ პალესტინა მზადაა ისრაელთან მოლაპარაკებები განაახლოს. ამავდროულად, მოლაპარაკებების განახლების წინაპირობად, დასახლებებში მშენებლობების სრულ შეჩერებასა და 1967 წლის საზღვრების ოფიციალურ აღიარებას აბასი აღარ მოითხოვს.

ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲨᲘᲨᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ

55 ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲣᲛᲑᲐᲠᲐ

აშშ-მ ისრაელს საიდუმლოდ გადასცა 55 ყუმბარა, რომლებიც განკუთვნილია მიწისქვეშა ბუნკერებისთვის — ამას იტყობინება ერთ-ერთი ფრანგული გამოცემა.

ყუმბარები წონით დაახლოებით ერთი ტონაა, მათ შეუძლიათ გაარღვიონ ჯავშანი, მიწისქვეშა შენობის ჭერი და მასში გააჩინონ ხანძარი. ფრანგული გამოცემის აზრით, ისინი ისრაელს ირანში მდებარე ატომური ობიექტებზე თავდასხმისთვის გადაეცათ.

ამასთან ერთად, შეერთებული შტატები ითხოვენ, რომ ისრაელმა ირანის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედება ვაშინგტონთან შეთანხმების გარეშე არ დაიწყოს. ამ მომენტისათვის აშშ და დიდი ბრიტანეთი ირანის წინააღმდეგ სანქციების გამკაცრებას ითხოვენ.

სხვათა შორის, ირანი ისრაელის ატომურ ობიექტებზე საპასუხო თავდასხმით იმუქრება. „ჩვენთვის ყველაზე მოსახერხებელი მიზანია — ატომური რეაქტორი დიმონაში“, — განაცხადა ირანის არმიის გენშტაბის ხელმძღვანელის მოადგილემ — გენერალ-მაიორმა მასუდ ჯაზაერიმ.

მან თქვა:

— თუ ისრაელი ჩვენზე თავდასხმას გაბედავს ჩვენ მას აღვგვით პირისაგან მიწისა. — და ჩვენი პასუხი არ შემოიფარგლება მხოლოდ ახლო აღმოსავლეთის რეგიონით.

„Daily Mail“ ᲘᲠᲐᲜᲖᲔ ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲮᲛᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲡ

ისრაელს შეუძლია საომარი მოქმედება ირანის წინააღმდეგ შობა — ახალ წლამდე — დეკემბერში დაიწყოს. ეს ინფორმაცია ბრიტანულმა გაზეთმა „Daily Mail“-მა გაავრცელა.

ჟურნალისტების სიტყვებით, ინფორმაცია დაყრდნობილია ბრიტანული დაზვერვის მაღალჩინოსნების მოსაზრებებზე.

ისრაელში დიდი ბრიტანეთის ელჩმა მეთიუ გულდმა განაცხადა, რომ ირანზე დავდასხმის შემთხვევაში მისი ქვეყანა ისრაელს დაუჭერს მხარს.

ᲮᲐᲛᲔᲜᲐᲘᲛ ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲨᲨ ᲒᲐᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲐ

ირანის სულიერმა ლიდერმა აიათოლა ალი ხამენაიმ გააფრთხილა ისრაელი და აშშ იმ საშიშროების შესახებ, რომელიც მისი ქვეყნის დასავლეთ ნაწილში იმალება.

„არც კი გაიფიქროთ ჩვენს ატომურ ობიქტებზე თავდასხმა, — განაცხადა ხამენაიმ, — ირანის არმია ნებისმიერი მოწინააღმდეგის თავდასხმას სწრაფად და სასტიკად უპასუხებს, — გვაცნობებს საიტი „Ynet“.

ხამენაის სიტყვებით, დამკვირვებლები დიდ როლს შეასრულებენ ირანელი ლიდერების რეაქციაში დასავლეთის ქვეყნების ირანის ატომურ ობიექტებზე თავდასხმის შემთხვევაში.

ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘ ᲐᲨᲨ-Ს ᲘᲠᲐᲜᲗᲐᲜ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐᲨᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐᲡ ᲣᲐᲚᲐᲕᲡ

ისრაელი აშშ-ს ირანთან მიმართებაში თავის გეგმას — ირანის ატომურ სადგურებზე შესაძლო თავდასხმას უმალავს, იტყობინება „Sunday Telegraph“. „ისრაელმა უარი თქვა ბარაკ ობამასთვის გარანტიის მიცემაზე, იმისა, რომ ირანის ატომურ ინფრასტრუქტურაზე თავდასხმას წინასწარ შეატყობინებს — იტყობინება „itar-tas“. — ამან გაამძაფრა საშიშროება იმის შესახებ, რომ ისრაელი დამოუკიდებლად გეგმავს ოპერაციას და ირანზე თავდასხმას მომავალ ზაფხულს განახორციელებს.

ამასთან ერთად, გამოცემა ამტკიცებს, რომ „ისრაელმა ირანის ატომურ ენერგეტიკულ პროგრამასთან დაკავშირებით, დიპლომატიური შეთანხმების მიღწევის იმედი დაკარგა“.

ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲔᲚᲔᲑᲘ ᲡᲙᲚᲔᲠᲝᲖᲡ ᲡᲔᲜᲡᲝᲠᲣᲚᲘ ᲛᲐᲢᲠᲘᲪᲘᲡ ᲛᲔᲨᲕᲔᲝᲑᲘᲗ ᲓᲘᲐ�გᲜᲝᲡᲢᲘᲠᲔᲑᲔᲜ

სწავლულებმა გამოიგონეს სენსორული მატრიცა, რომელსაც ამონასუნთქი ჰაერის მეშვეობით შეუძლია გაფანტულ სკლეროზს დიაგნოზი დაუსვას. ამის შესახებ საუბარია ჟურნალ „ACS Chemical Neuroscience“-ში გამოქვეყნებულ სტატიაში.

ისრაელის ტექნოლოგიური ინსტიტუტის თანამშრომელმა — ხომას ხაიკმა კოლეგებთან ერთად განაცხადა, რომ არსებულ მომენტში მედიკოსები დიაგნოზს უსვამენ გაფანტულ სკლეროზს (ქრონიკული ავტოიმუნური დაავადება, რა დროსაც ზიანდება ნერვული ბოჭკოები თავისა და ზურგის ტვინში), მის სახასიათო თვისებებზე დაყრდნობით, რომელთაც მიეკუთვნება კუნთების სპაზმები, კოორდინაციის პრობლემები და საუბრის დარღვევა.

დაავადების დიაგნოსტირების სხვა ვარიანტებიც არსებობს, ერთ-ერთია გავრცელებული — მპტ პროცედურა, რომელიც დაავადების მკურნალობის სწორი მეთოდების დადგენის საშუალებას იძლევა. მეორე, არანაკლებად პოპულარული დიაგნოსტიკის მეთოდია — წელის გახვრეტა, ანუ ზურგის ტვინის ლუმბალური ფუნქცია, რომელიც თავისა და ზურგის ტვინში მოთავსებული სითხის ანალიზისთვის კეთდება. თუმცა ორივე ტექნოლოგიას აქვს მინუსები: მპტ იაფი არ ღირს, წელის გახვრეტა კი ინვაზიურ ჩარევას მოითხოვს.

სპეციალისტებმა პრობლემის გადაჭრა შეძლეს. მათ აღმოაჩინეს მფრინავი ორგანული შემაერთებლები, ამონასუნთქ ჰაერში მათი აღმოჩენის შემთხვევაში, შეიძლება დაკავშირებულ იყვნენ გაფანტულ სკლეროზთან. ამ მონაცემებზე დაყრდნობით სწავლულებმა შეიმუშავეს სენსორული მატრიცა, რომელსაც დიაგნოზის დასმა ამონასუნთქი ჰაერის ქიმიური ანალიზის მეშვეობით შეუძლია. ავტორებმა გამოგონება წარმატებით დააპატენტეს. კლინიკურ ცდებში მონაწილეობა მიიღო ოცდათოთხმეტმა გაფანტული სკლეროზით დაავადებულმა ადამიანმა და ჩვიდმეტმა ჯანმრთელმა მოხალისემ. შედეგების მიხედვით სწავლულებმა დაადგინეს, რომ ახალი მოწყობილობა ისევე ზუსტია, როგორც ზურგის ტვინის ფუნქცია. მისი უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ პროცედურა სრულიად უმტკივნეულოა და გამორიცხავს გვერდით მოვლენებს.

სამუშაოების შედეგი ხსნის ახალ შესაძლებლობებს სწრაფი, არაინვაზიური და იაფ სამედიცინო დიაგნოსტიკურ ინსტრუმენტს ქრონიკული ნევროლოგიური დაავადების გამოვლინებისთვის, — განაცხადეს სწავლულებმა. მათი სიტყვებით, კვლევა შეიძლება იქცეს დასაწყის პლატფორმად გაფანტული სკლეროზის სხვადასხვა ფაზის განსასხვავებლად და ასევე იმ ავადმყოფების გამოსავლენად, რომლებიც იმუნოთერაპიაზე კარგად რეაგირებენ.

თბილისის დიდი სინაგოგა 100 წლისთავზე

ლოცვის კართან

წერილი მესამე

შოთა ბოსტანაშვილი

*„ყოვლისშემძლეო! რა საშინელია (ებრ. ნორა) ეს ადგილი! იგი სხვა არა არის რა, თუ არა სახლი ღვთისა და ეს არის ცის ბჭენი. ეს არის ღვთის კარი. მართალნი შევლენ მასში. დაიწყეს შენება 5651 წელს ქვეყნის გაჩენიდან, ხოლო 5655 წელს დაამთავრეს“.**

კვირიდან კვირამდე იმდენი რამ ხდება ჩვენი ლოცვის კართან, რომ... (უნდა შევყოვნდე). მომწონს ეს გამოთქმა — „ლოცვის კართან“. ის არა მარტო მთელ სივრცულ არეალზე (არიელი გამახსენდა!) — გარემოზე მიუთითებს, არამედ — მენტალურზეც: ლოცვის კართან, ჩემს ბავშვობაში, მთხოვნელები იდგნენ — თითქმის ბოგანოები; ლოცვის კართან თეთრწვეროსანი მოხუცები ისხდნენ თავთავიანთი ჯიბის სამშობლოთი („ჯიბის სამშობლო“ ჰაინეს გამოთქმაა. ასე უწოდებს ის თორის წიგნებს). ამ გამოთქმაში, სწორედ ეს „თი“ არის საინტერესო და მნიშვნელოვანიც. ამ ორი ასოს საშუალებით ხდება იმ განცდის გაცხადება, რომ სამშობლოს თან (შენთან) ატარებ, თან (ამასთანავე) ატირებ (მისტირი) და ამ ტირილს ლოცვად აქცევ: „გაისად ამ დროს იერუშალაიმში.“ ეს დროც დადგა და დგას, და დგას კითხვაც — სამშობლოში ისევ სამშობლოთი ვართ? შეიძლება გალუთში სამშობლოთი იყო და სამშობლოში გალუთით. ამ საკითხის გამოძიება ისრაელში დიდი ხნის ასულს და მიმსვლელ-მომსვლელს უფრო დაეჯერება. აქედან კი ისე სჩანს, რომ ეს „თი“ გზაში დაილია, დაიკარგა. ამ კითხვის საბაბს ის ასეულობით ისრაელელი ტურისტიც მაძლევს, რომლებიც ლოცვის კართან მოდიან. ასეთ მასიურ მიმოსვლას, რაც ჩვენს სინამდვილეში სიახლეა, ჩვენი ლოცვის კარიც ახალ, სანახაობრივ, სამუზეუმო რეჟიმში გადაჰყავს: თითქოს დამთავრდა ერთი სინამდვილე — მთხოვნელთა, თეთრწვეროსანთა, ჯიბესამშობლოიანთა, ადგილის ბინადართა და დაიწყო განსხვავებული: ადგილს ტერიტორია ჩაენაცვლა და ბინადარს - დამსწრე. საქართველოს ებრაელთა სამოსახლო ადგილები დღეს მხოლოდ ტერიტორიებია, რომელზეც დგას, ან აღარ დგას სინაგოგა (ამაზე უფრო დეტალურად სხვა წერილში).

თბილისის დიდი სინაგოგის შენობა კიდევ დიდხანს იდგება იმ ტერიტორიაზე, მაგრამ იქნება თუ არა ის ლოცვის კარის ადგილი? ან ვინ იფიქრებდა, რომ ცოტა უფრო გვიან აგებული ორი სინაგოგიდან ერთი მუზეუმად იქცეოდა და მეორე — თეატრად. „მიწა მუდამ ანხორციელებს ადგილზე დეტერიტორიალიზაციის მოძრაობას“ და „აზრი უფრო ტერიტორიის და მიწის თანაფარდობით ხორციელდება“. თანამედროვე დიდი ფრანგი ფილოსოფოსების (ჟ. დელიოზი და ფ. გვატარი) ამ ძალზე მნიშვნელოვანი ნააზრევის კვალობაზე არც ეს მიწა უნდა იყოს ლოცვის კარის სამუდამო ადგილი და მისი რეტერიტორიალიზაციის პერსპექტივაში შესაძლებელია იულონ ბატონიშვილის სასახლეც ფიგურირებდეს, რომელიც ამ ადგილას იდგა. წესით ბატონიშვილს მეტი გარანტიები უნდა ჰქონოდა, რომ მისი მემკვიდრეობა საშვილიშვილოდ გადარჩებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. სასახლე ვინმე მუნთუას ხელში აღმოჩნდა და ასეც მოიხსენიებდნენ - „მუნთუაანთ დარბაზი“, რომელიც ახალციხელმა ებრაელებმა დაიქირავეს და სალოცავად გადააკეთეს. შემდგომში კი, 1898 წელს, ავარიული შენობა ქალაქის მესვეურებმა დაანგრიეს. თბილისის დიდი სინაგოგა არ არის ავარიულ მდგომარეობაში. მიმდინარე რემონტი კი, მისი ექსპლუატაციის ხარისხს მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს, ამიტომ მას არავინ არ დაანგრევს. მაგრამ ხომ შეიძლება, ისევ შეიცვალოს სიტუაცია და შენობის ფუნქციამაც ადეკვატურად უპასუხოს მოსალოდნელ ცვლილებებს, ისე როგორც ეს მოხდა მუზეუმის და თეატრის შემთხვევაში. ხომ არ მიდის ლოცვის კარის ისტორია დასასრულისკენ? ამ კითხვის საბაბს ის სინამდვილეც მაძლევს, რაც ხდება (ამაზე ქვემოთ).

ადგილის და ტერიტორიის ისტორიას შორს მივყავართ, კერძოდ იქ და იმ დროში, როდესაც **„...დარგო უფალმა ღმერთმა ბაღი ედემში, აღმოსავლეთით და დასვა იქ ადამიანი, რომელიც შექმნა“** (ბერეშითი 2:8). აქ „ედემში აღმოსავლეთით“ ტერიტორიაა, „ბაღი“ ადგილია. „ბაღის“ კულტურული პარადიგმა (ანალოგია) ტაძარია, რომლის მაგივრობას დღეს სინაგოგები ასრულებენ. დიახ, სინაგოგა ედემის ბაღის ნოსტალგიებს აღძრავს. აქ უბრუნდება ადამიანი სამოთხისეულ ატმოსფეროს. სწორედ „სამოთხის კარის“ ატმოსფეროს აღნიშნავს „ლოცვის კარი“. სამოთხის კართან დიდი დრამა დატრიალდა — ადამი და ევა გამოაძევეს - **კარი დაუხურეს** (აქ და ქვემოთ ხაზგასმა ჩემია - შ.ბ.). „ბერეშითში“ ზმნა *დახურვა* უფრო ადრეა ნახსენები, იქ და მაშინ, როდესაც **„მოჰგვარა უფალმა ღმერთმა ძილქუში ადამს და დაეძინა. ამოუღო ერთი ნეკნთაგანი და დახურა (ვაისგორ) ხორცით“** (ბერეშითი 2:21). ეს ტექსტი მრავალი ინტერპრეტაციისკენ გვიბიძგებს და მათ შორის შესაძლებელია ასეთი წაკითხვაც: ადამის სხეულიდან, როგორც არონ ჰაკოდეშიდან სეფერ-თორის გამობრძანების რიტუალს ჩაეყარა საფუძველი. სეფერ-თორის კაბებით შემოსვის ტრადიციაც და შაბათის ქალბატონობაც ამავე საწყისიდან უნდა მოდიოდეს.

პატრიარქ აბრაამის კარავი და კარვის კარიც საკრალურ ტოპოსად (ადგილად) უნდა მივიღოთ. **„გამოეცხადა მას უფალი მამრეს მუხნარში. იგი იჯდა კარვის შესასვლელთან დღის პაპანაქებაში“** (ბერეშითი 18:1). სამოთხის კარისგან და აბრაამის კარვისგან განსხვავებით ქალაქის კარიბჭე უარყოფითი ნიშნით აღბეჭდილი ადგილია. **„მოვიდა ორი ანგელოზი სედომში საღამო ხანს, ლოტი კი იჯდა სედომის კარიბჭესთან...“** (ბერეშითი 19:1). შემდეგი ფრაგმენტი კი ეხება აბრაამის მიერ მღვიმის შეძენას თავისი მეუღლის, სარას დასაკრძალად. **„აბრაჰამმა შეიძინა საკუთრებად ხეთის ძეთა თვალთა წინაშე, მისი ქალაქის კარიბჭესთან მოსულთა (თანდასწრებით)“** (ბერეშითი 23:18). იეჰუდას და თამარის ამბავიც კარიბჭესთან ხდება: **„გაიძრო ქალმა ქვრივობის სამოსელი, გარემოისხა ჩადრი, დაიბურა და დაჯდა ენაიმის კარიბჭესთან“** (ბერეშითი 38:14). მიშქანის ასაგებად მრავალ ნაკეთობათა შორის მოხსენებულია **„ეზოს კარიბჭისათვის ჩამოსაფარებელი ოცი წყრთა ცისფერი, მეწამული, ჭიაფერი ქსოვილისა და გრეხილი ბისონისაგან, მქარგავის ნამუშევარი...“** (შემოთ 27:16). და აი, კიდევ ერთი საკრალური კარი: **„როგორც კი კარავში შევიდოდა მოშე, ეშვებოდა ღრუბლის სვეტი და იდგა კარვის კართან და უფალი ლაპარაკობდა მოშესთან“** (შემოთ 33:9). მეც ასე მქონდა შთაგონებული ბავშვობიდან და ლოცვის კარის ყველა თეთრწვეროსან სახეში მოშე რაბინუს ანარეკლს ვხედავდი. ჩემი ბავშვობის დიდ მოძღვრებს — რაბი ისრაელ ბაბალიკაშვილს და რაბი (ყ)იმანუელ დავითაშვილს სწორედ ასე აღვიქვამდი. ეს დიდი ხნის წინ იყო, სამოცი წლის წინ, როცა ლოცვის ეზოში სამთვლიან ველოსიპედს „დავაჭენებდი“ და ასეა დღესაც.

ლოცვის კარზე მეზუზაა — ტექსტი, რომლის გაცნობიერებას იქნებ, ერთი სიცოცხლე არც ჰყოფნის; ლოცვის კარში შუქიც შედის და მუქიც და სულ შუქი გამოდის; ლოცვის კართან ახალი მთვარე მოდის; ლოცვის კართან საფესახო სამზადისია; ლოცვის კართან კარგიც მომხდარა და არასასურველიც. დღესაც ლოცვის კართან ვემშვიდობებით გარდაცვლილ ადამიანებს. ლოცვის კართან ზოგჯერ უკანასკნელი იმედი იდო: ავადმყოფისთვის წამლის მაძიებელს აქ ეგულებოდა შველა და ხშირად პოულობდა (როგორც იტყოდნენ: ჰპოვებდა). სულიკო და ჩაშკა ლოცვის კარის ასეთ კეთილ კაცებად იქცნენ; სხვა ნაწილი თეთრი მარმარილოს მემორიალური დაფიდან გადმოგვყურებს. ეს ჩვენი ხახამ-რაბინები არიან; ლოცვის კართან დღეს.., თუმცა, ამაზე ნაწილობრივ ლოცვის კართან ჩამწკრივებული მაღალი კლასის მანქანები მეტყველებენ. ლოცვის კართან ბევრი დადიოდა მოკეთეც და უკეთურიც...

— მაგალითად?

— უკაცრავად თქვენ ვინა ხართ?

— მე ვარ ხმა... მართლისხმა თუ ინტრიგანი? მავნე ხმა თუ მავანი ხმა? გულისხმა თუ ფულისხმა? თქვენს ტექსტებში მინდა შემოსვლა და თქვენ გადაწყვიტეთ, თქვენ უპასუხეთ.

— მაგალითად: ლოცვის კარის დასაკეტად, 50-იან წლებში, ექიმთა საქმის გამო, ან სეფერ-თორების წასაღებად (აქ გასაღებაც იკითხება, ბგერწერით). აქ ერთ ღამეში რამდენიმე ათეულ ოჯახს „შეუწყეს ხელი“ ხელის ჭუჭყისგან განთავისუფლებაში. მაგრამ ეს იყო ოდესღაც, იმ წითელ და შავ-ბნელ დროში...

ლოცვის კართან ხალხის გარდა ხმებიც დადიან და დადიოდნენ: აი, მავანმა და მავანმა ამდენი წააგო, ანდა მოიგო; მავანმა საქიფუროდ ჰეხალის გახსნაში ამდენი და ამდენი გადაიხადაო. რა არ გამიგია. ის კი ვიცი, რაც არ გამიგია: მოკლაო და გააიმასქნაო, მართლა არ გამიგია. ერთი სიტყვით, „ლოცვის კარი“ დიდი წიგნია და საერთო ჯამში ჯანმრთელი წიგნია, რომელიც ყოველდღე უნდა იწერებოდეს.

დავუბრუნდეთ ჩვენს სარემონტო სამუშაოებს. დღეს ლოცვის კართან მუშები ფუსფუსებენ, სამშენებლო მასალებით შედიან, სამშენებლო ნაგვით გამოდიან. შედიან და გამოდიან ხმებიც. ასე მაგალითად: მთავარი რაბინი თუ მთავარი რაბინია, აქ უნდა იყოსო და გვიხელმძღვანელოსო; ბოლოს და ბოლოს ზოგჯერ ისეც უნდა დაგვხედოსო და არა მარტო დღესასწაულებშიო.

ხმა: მეტი არაფერი?

— მე თვითმხილველი არ გახლავართ. მოსმენილიდან კი ერთი ჩამრჩა: ამ ცოტა ხნის წინ, 9 ოქტომბერს ლოცვის კანტორაში რაბინს „სათქმელი“ „უთხრეს“... „ელოალეჰემ, ისე კანკალებდა, როგორც კრავი განსაცდელში და რაღაცას ბუტბუტებდა, ალბათ, ლოცულობდა“. აი, ესეც „საშიში ადგილი“. მაგრამ ეს სხვა შიშია, ებრაულად „მესუქან“ — სახიფათო გარემოებისგან წამოსული შიში (*მესუქან* ბგერწერით „მსუქანთანაც“ ასოცირდება); ღვთაებრივი შიში (ონის წარწერა წერილის დასაწყისში) სხვა სიტყვით აღინიშნება, ეს გახლავთ „ნორა“. წარმოსახვითი წარწერაც ლოცვის კარზე დღეს ასე წაიკითხებოდა: ყოვლისშემძლენო რა მ(ე)სუქანია ეს ადგილი.

თორა არავის შეცდომას არ გამორიცხავს და მათ შორის არც მოძღვრისას. **„თუ ცხებულმა მოძღვარმა სცოდოს ცოდვა ხალხისა, შესწიროს უფალს ცოდვის გამოსასყიდელ მსხვერპლად უმანკო ხბო. მიიყვანოს ზვარაკი ბჭობის კარის შესასვლელთან უფლის წინაშე, დაადოს თავისი ხელი ზვარაკს თავზე და დაკლას ზვარაკი უფლის წინაშე...“** (ვაიკრა 4:3, 4). მართალია, ამ წესის აღსრულება ტაძრის პირობებში იყო შესაძლებელი, მაგრამ სინაგოგის პირობებში ისე რადიკალურად ვერ შეიცვლებოდა, რომ რაბინთან „გამკლავების“ უფლებას მისცემდა ვინმეს (რაიმე სხვა, ცივილიზებული წესის გარეშე). წესრიგის დარღვევაზეა ლაპარაკი, რაც მხოლოდ შემოქმედებაში შეიძლება იყოს საინტერესო და არა რელიგიურ, ან სამეცნიერო ინსტიტუტებში. სწორედ, ეს გარემოება (თუ ის არ გამოსწორდა), მაფიქრებინებს ლოცვის კარის დასასრულზე (შდრ. გ. ბააზოვის „გელათის ქუჩის დასასრული“).

კაი ამბებიც ვთქვათ: ორთაჭალის სასაფლაოზე ბილიკები მოეწყო, გაიწმინდა, დასუფთავდა, წყარო კეთდება (იხილეთ აქვე).

ამას წინათ, დავით ფიჩხაძე მესტუმრა, კაცი, რომელმაც სურამის ლოცვას უპატრონა. სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, რომ ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. დავითი გვარწმუნებს, რომ ნახატები, რომელთა გაქრობის შესახებაც წინა წერილში ვიუწყებოდი, რემონტის დაწყებამდე იყოო დაზიანებული. რა თქმა უნდა, სასურველი იყო რაიმე ფრაგმენტის გადარჩენა სამუზეუმოდ, ან აღსადგენად. ჩემი წერილის კრიტიკული პათოსი სასულიერო ხელმძღვანელობას უფრო ეხებოდა და ამ აზრს ისევ ვიმეორებ: როდესაც ქველმოქმედნი მოგაკითხავენ მატერიალური კულტურის ძეგლების მოსავლელად, გთხოვთ მაცნობოთ, როგორც კონსულტანტს, ექსპერტს, ვინც გასამსჯელოს გარეშე მოგემსახურებათ, როგორც ყოველთვის.

ვარიანტი 1.



ვარიანტი 2.

წყარო ორთაჭალის სასაფლაოზე. არქიტექტორები: შოთა და დავით ბოსტანაშვილები

• წარწერა ონის ლოცვის კარის თავზე. შესრულებულია ებრაული კვადრატული შრიფტით. თარგმანი ეკუთვნის ნისან ბაბალიკაშვილს. წლები შეესაბამება 1891-1895 წწ.

ერთი სანაქებო წამოწყების თაობაზე

გურამ ბათიაშვილი

საინფორმაციო საშუალებებმა სასიამოვნო ამბავი გვაუწყეს: 2 ნოემბერს ისრაელის ქნესეთის ალიისა და აბსორბციის კომიტეტის სხდომაზე, რომელიც ქართველ ებრაელ რეპატრიანტთა პატივსაცემად გაიმართა, დაისვა ერთობ მნიშვნელოვანი საკითხი — 18 ქართველი ებრაელის ოჯახის მიერ გაეროსადმი გაგზავნილი წერილის ავტორთა ხსოვნის უკვდავსაყოფად ღონისძიებების ჩატარება.

ამ ინიციატივის მოთავე გახლავთ აბრამ მიხაელი — ისრაელის ქნესეთის წევრი, ქნესეთში ფრაქცია „შასის“ თავმჯდომარე.

უწინარესად, მსურს მკითხველს წარვუდგინო აბრამ მიხაელი. ვინ არის იგი?

აბრამ მიხაელი-მიხელაშვილი საქართველოში, დაბა კულაშში — საქართველოს ამ პატარა იერუშალაიმში — დაიბადა, მოზარდი ავიდა ისრაელში, იქ დაამთავრა საშუალო სკოლა, მოიხადა სამხედრო ვალდებულება, ისწავლა იურიდიულ ფაკულტეტზე და ეწეოდა საადვოკატო პრაქტიკას. როგორც მსმენია, საკმაოდ წარმატებით — ჩინებული ადვოკატის რეპუტაციით სარგებლობდა. სწორედ, ეს იყო იმის მიზეზი, რომ ქნესეთში შესვლის პერსპექტივა არცთუ ძლიერ ხიბლავდა — ისედაც უზრუნველყოფილი ადამიანი გახლდათ (შემიმჩნევია, ისრაელის ახალგაზრდობა არჩევს თავისი პროფესიის აპარეზზე მოღვაწეობას და ნაკლებად ინტერესდება ქნესეთის პერსპექტივით — ამის ახსნა იმით შეიძლება, რომ ისრაელის პარლამენტის წევრობა სულაც არ არის ცხოვრების უკეთ მოწყობის საშუალება, ისე, როგორც ზოგიერთ ქვეყანაში), კარგი პროფესიული რეპუტაცია, აბრამ მიხაელს აძლევდა ყველაფერ იმას, რაც ადამიანს საზოგადოების ღირსეულ წევრად აქცევს.

აბრამ მიხაელი გახლდათ საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის ყრილობის მოსამზადებელი კომიტეტის წევრი, მისი იურიდიული კონსულტაციის გარეშე თითქმის არაფერი კეთდებოდა. ხშირად ყოფილა: მომავალი კონგრესის მიზნების, ამოცანების განსაზღვრისას გვიან ღამემდე ვმსხდარვართ, ღამის დაგვთენებია, რადგან იყო პოზიციათა სხვაობა. ამით გახლდათ განპირობებული ის, რომ 2003 წელს იგი არჩეულ იქნა სემ კონგრესის თანათავმჯდომარის მოადგილედ.

კარგად მახსოვს, კონგრესის ოფისში როგორ მობრძანდა რელიგიური პარტია „შასის“ ერთ-ერთი ლიდერი, ვგონებ, ამნონ ქოენი და პრეზიდენტ მოშე (მიშიკო) მირილაშვილთან, ჩვენთან — თანათავმჯდომარეებთან, თანათავმჯდომარეთა მოადგილეებთან დასვა საკითხი, რომ აბრამ მიხაელს მიეცა თანხმობა „შასის“ სიით ქნესეთში კენჭისყრაზე. ბატონ მიშიკოს იმასაც სთხოვდა, ზეგავლენა იქონიე აბრამ მიხაელზეო.

აბრამ მიხაელმა თანხმობა განაცხადა და ქნესეთის წევრი გახდა, ამ ცოტა ხნის წინათ, კი იგი ხელახლა აირჩიეს ქნესეთში. ამჟამად ქნესეთის „შასის“ ფრაქციის თავმჯდომარის საპატიო პოსტი უჭირავს.

მინდა ხაზი გავუსვა აბრამ მიხაელის პიროვნების ორ მთავარ მახასიათებელს:

ა) აბრამ მიხაელი ეროვნული ტრადიციების უაღრესად ერთგული პიროვნებაა.

ბ) აბრამ მიხაელი გამრჯე, დაუზარელი ადამიანია.

გ) ჩვენ ვიცით, შემთხვევები, როდესაც ებრაული წარმომავლობის მოღვაწენი გამხდარან პარლამენტის წევრები, იქადიან კიდეც ამდენი და ამდენი წელი ვიჯექი პარლამენტარის სავარძელშიო, მაგრამ ებრაელთა სატკივარ-საწუხარზე ერთხელაც არ დაუძრავთ სიტყვა, საპარლამენტო ტრიბუნიდან: **ერთხელაც** არ უთქვამთ სიტყვა, რომელიც ერის საწუხარს წაადგებოდა.

აბრამ მიხაელის საპარლამენტო მოღვაწეობა სულ სხვაგვარად ხასიათდება: მას შემდეგ, რაც იგი პარლამენტარი გახდა, იქცა ქართველ ებრაელთა სატკივრის მომშუშებლად — ქართველ ებრაელთა ლობისტად ქნესეთში.

პარლამენტის წევრობას სწორედ მაშინ აქვს აზრი, როცა გარემომცველთა, ამ შემთხვევაში, შენი თემის სატკივრის მოშუშებას ცდილობ. სხვაგვარად საკითხი ერთი პიროვნების ამბიციის დაკმაყოფილებისა და ოჯახური ბიუჯეტის განმტკიცების სფეროში ექცევა. ესაა და ეს! ასეთი პარლამენტარები ერის ცხოვრებაში არა-რა კვალს არ სტოვებენ. აბრამ მიხაელს კი ისრაელის ქართველი ებრაელობის საკითხების მოსაგვარებლად დრო და ენერგია არასოდეს დაუშურებია: ისრაელის ქართველ ებრაელობას ბევრი საამისო მაგალითი აქვს. მე არ მსმენია, მაგრამ ალბათ, მომდურავიც ჰყავს, რადგან ზოგიერთს მიაჩნია, რომ მისი ყველა თხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს. ყოველგვარი პრობლემის მოგვარებას, ცხადია, პარლამენტის თავმჯდომარეც კი ვერ შესძლებს. აქ მთავარია ის, რომ აბრამ მიხაელი მოწოდებულია ქნესეთში იცავდეს ქართველი ებრაელობის ღირსებასა და ინტერესებს.

2008 წლის სექტემბერში, რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, თავის კოლეგებთან ერთად ჩამოვიდა საქართველოში. იყო გორში, შეხვდა თბილისის ჯამაათს. რასაკვირველია, ეს ვოიაჟი საქართველოს

მხარდაჭერას გულისხმობდა — მან ისრაელის პარლამენტის პატივისცემა და თანაგრძნობა ჩამოუტანა ომით, მშობლიური კუთხეების დაკარგვით შეძრწუნებულ ქართველ ხალხს.

ამ რამდენიმე წლის წინათ, როცა იერუშალაიმში ჩემი სცენარის მიხედვით შექმნილი მერაბ კოკოჩაშვილის ფილმის „თუ დაგივიწყო, იერუშალაიმ!..“ პრემიერა გაიმართა, აბრამ მიხაელმა ერთობ ვრცელი სიტყვა წარმოთქვა. ამ საღამოს ერთ მნიშვნელოვან დეტალს უნდა გავუსვა ხაზი: ჩვეულებისამებრ, თავისი გამოსვლის დიდ მნიშვნელობაში დარწმუნებული პარლამენტარები, თუ მაღალჩინოსნები ლაპარაკობენ ზოგადად და მოკლედ. აბრამ მიხაელს კი თავისი გამოსვლის ტექსტი დაწერილი ჰქონდა — დაწერილი სიტყვით წარსდგა აუდიტორიის წინაშე და დაახლოებით 20 წუთი კითხულობდა თავის ტექსტს.



1. ЭЛАШВИЛИ Шабата Михайлович — г.Кутаиси, Джапаридзе 53.
2. ЭЛАШВИЛИ Михаил Шабатович — г.Кутаиси, Джапаридзе 33.
3. ЭЛАШВИЛИ Израиль Михайлович — г.Кутаиси, Кирова 31.
4. ЭЛУАШВИЛИ Яков Аронович — г.Кутаиси, Маяковского 5.
5. ХИХИН Мордех Исакович — г.Кутаиси, Махарадзе 19.
6. ЧИКВАШВИЛИ Михаил Самуилович — г.Кутаиси, Хаханашвили 38.
7. ЧИКВАШВИЛИ Коне Самуилович — г.Кутаиси, Церетели 32.
8. БЕВЕРАШВИЛИ Михаил Рубенович — г.Кутаиси, Клара-Цеткина 9.
9. ЭЛАШВИЛИ Яков Израйлович — г.Кутаиси, Церетели 54.
10. МИХЕЛАШВИЛИ Хаим Аронович — г.Поти, Цхакая 57.
11. МИХАИЛАШВИЛИ Альберт Хаимович — г.Поти, Цхакая 57.
12. МИХЕЛАШВИЛИ Арон Хаимович — г.Поти, Джапаридзе 18.
13. ТЕТРУАШВИЛИ Хаим Давидович — г.Кутаиси, Джапаридзе 42
14. ЦИЦУАШВИЛИ Исро Захарович — г.Кутаиси, Шауляна, I-й переулок, №5.
15. ЦИЦУАШВИЛИ Ефрем Исрович — г.Кутаиси, Шауляна I-й пер. №6.
16. ЯКОБАШВИЛИ Бенсион Шалович — г.Тбилиси, 4, Довостребования (проживал по ул. Барнова, 91)
17. БАТОНИАШВИЛИ Михаил Рафаелович — г. Кулаши, Сталина, 53.
18. ТЕТРУАШВИЛИ Михаил Шалонович — г.Кулаши, Сталина, №114.

22 (АХ) августа-6
1969г.

ამ ინციდენტის ერთ-ერთ ეპიზოდზე ეს ფაქტი?

მხოლოდ და მხოლოდ გამომსვლელის სერიოზულ დამოკიდებულებაზე, პასუხისმგებლობაზე განსახილველი საკითხისადმი. იგი არა ჰაიჰარად, არა ზედაპირულად, დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდა ქართველ ებრაელთა ისტორიაში ესოდენ მნიშვნელოვან ფილმის დაბადებას.

მიუხედავად იმისა, რომ 18 ქართველი ებრაელის მამაცობაზე ისრაელში გამოცემულ კრებულებშიც არის მასალები, ეს ერთობ მნიშვნელოვანი მოვლენაა მაინც დახშულ წრეშია მოქცეული, ჩვენ ვერ მოვახერხეთ ამ დიდი, ერთობ მნიშვნელოვანი მოვლენის სათანადო „პრომოუშენი.“ მეტსაც ვიტყვი: სამწუხაროდ, მთელი სიგრძე-სიგანით ქართველ ებრაელობასაც კი ვერ გაუანალიზებია ის, რაც 1969 წელს, მაშინ როცა საბჭოთა კავშირი თავისი ძლიერების ზენიტზე იმყოფებოდა, მოხდა ქართველ ებრაელთა წიაღში.

მოხდა კი ერთობ მნიშვნელოვანი რამ:

1) შაბთაი ელაშვილის — ამ თანამედროვე მათათიაჰუსა და მისი მაქაბელების წამოწყებამ ბიძგი მისცა საბჭოთა იმპერიის დემონტაჟის პროცესს.

2) ამ უზარმაზარი საბჭოთა იმპერიის მოსახლეობას მიანიშნეს: ურჩხულთან ბრძოლა შესაძლებელია. ისიც კი შეიძლება, ამ ბრძოლაში გამარჯვება მოიპოვო.

3) გამოიჩინეს დიდი მამაცობა — როცა ისინი ამ ბრძოლას იწყებდნენ, უწყოდნენ, რომ შესაძლოა, გულაგებში, ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში, საპყრობილეებში ამოეყოთ თავი.

ძალიან ძნელია განსაზღვრო, რომელი განსაცდელი უფრო შემაძრწუნებელია: უდაბნოში სვლისა, თუ ციმბირის ყინულოვან გულაგებში მოხვედრისა. იქ, უდაბნოში გასულთ, ღვთიური მარჯვენა უჩვენებდა გზას და სამშობლოსაკენ მავალთ ძალას მატებდა. აქ, უსაშინლეს საბჭოურ რეალობაში მოქცეულთ, რა აძლევდათ ძალას? მინდა ამ კითხვას ასე ვუპასუხო: ისევ ღვთის ნება — შაბთაი ელაშვილსა და მის მაკაბელებს, ისევ ღვთის ხელი უჩვენებდა გზას, კითხვას ასე ვპასუხობ, მაგრამ ახირებული ადამიანების არსებობაც არ მავიწყდება. ხომ შესაძლოა, შემძახონ: იმ დიდ წიგნთა წიგნს თანამედროვე ყოფაში პარალელების დაძებნა არ სჭირდებაო. ანგარიშგასაწევი ოპონირებაა, მაგრამ მე ისე მჯერა, რომ სწორედ ასე იყო, დაბეჯითებით ვიტყვი: ქუთაისელ, კულაშელ, თბილისელ, ფოთელ მაქაბელთა ზრახვებსა და ქმედებებს, ღვთის ნება წარმართავდა. უზენაესი ხომ მარადიულია, იგი ისევე უმზერს ჩვენს თანამედროვეებს, როგორც ოცი, ოცდაათი საუკუნის წინანდელთ ხედავდა, იგი ისევეა ჩვენი იმედისა და ლოცვის სათავე, როგორც რაბი აკივას თანამედროვეებისათვის იყო.

უზენაესი ყველას ერთნაირად ხედავს — ცივილურ სამოსში მორთულ საბჭოეთის ბელადებსაც და ეგვიპტის ფარაონებსაც, საბჭოეთის სათავეშიც ხომ ფარაონები იდგნენ — თითქოს დრომ შორეული წარსულიდან გამოიხმო ფარაონები, რომელთაც ამჯერად არა რეფაიმთან, ყინულის, ჩრდილოეთის ზღვასთან უნდა მიემწყვდიათ რეპატრიაციის მსურველი ებრაელები, ხოლო იმათ, ვინც პირველმა გაბედა ეთქვა, „გამიშვი სახლში!“ — ცხადია, კიდევ უფრო უარესი ჟამი ელოდათ.

მაგრამ ღვთის ნება ურყევია. ებრაელები წავიდნენ და დარჩა „ათი ცემულობით“ გაპარტახებული საბჭოთა იმპერია, მიწას განერთხა უზარმაზარი იმპერია. სულაც არ მსურს მკითხველი დავარწმუნო, იმპერია ებრაელების წასვლით დაიქცა-მეთქი, მაგრამ იმპერიას, რომ პირველი აგურები ქართველმა ებრაელებმა გამოაცალეს, ეს ძნელი შესამჩნევი არ უნდა იყოს.

* * *

იმის გამო, რომ ჩვენ თავად არ შეგვიფასებია, თუ რას ნიშნავდა, მათი დროის სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში თანამედროვე მაქაბელების ქმედებანი, ჩვენ არ აგვიზიდია ისეთ სიმაღლეზე, რომ მსოფლიოს ებრაელობა კარგად ხედავდეს, ჩვენ თავად არ გაგვიხდია იგი ქართველი ებრაელობის სავიზიტო ბარათად, არ გვიმეცადინია, რომ მსოფლიოს ებრაელობამ იცოდეს, ქართველი ებრაელობის ღვაწლი დღევანდელი ისრაელის ისტორიაში, ამ მოვლენაზე სხვებიც თვალს ხუჭავენ, ან ისე, სასხვათაშორისოდ მოიხსენიებენ. აი, ნათან შჩარანსკიმ კი სასხვათაშორისოდაც არ მოიხსენია: 2007 წელს

ხაიმ თეთრუაშვილი

ისრაელ ელაშვილი


ბენ-ციონ იაკობაშვილი


მიხაელ ბატონიაშვილი


იაკობ ელაშვილი

მიხაელ თეთრუაშვილი

იაკობ ელუაშვილი


ხაიმ მიხელაშვილი

საერთაშორისო სიონისტური ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ფარგლებში აღინიშნა საბჭოთა კავშირიდან რეპატრიაციის დაწყების 40 წლისთავი. ამ საკითხზე მომხსენებელი გახლდათ „სოხნუთის“ თავმჯდომარე ნათან შჩარანსკი. ჩინებული მოხსენება გააკეთა, კარგად მიმოიხილა საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში მცხოვრები ებრაელი ლიდერების ღვაწლი რეპატრიაციის დაწყების საქმეში, გააკეთა ვრცელი ანალიზი რუსეთის, უკრაინის, მოლდავეთის, ბელორუსიის ებრაელთა ცხოვრება-ბრძოლისა და ერთი სიტყვაც კი არ დაუძრავს ქართველ ებრაელთა თავგანწირულ ბრძოლაზე, არც ძმები მიხელაშვილები უხსენებია, ვინც ფაქტიურად გაკვალა სამშობლოსაკენ მიმავალი გზა, არც 18 ქართველი ებრაელის წერილი გაეროსადმი, რომელმაც რეპატრიაცია გამონაკლისად, საბჭოთა ხელისუფლების კეთილი ნების გამოხატულებად კი არა, სახალხო მოთხოვნილებად, კანონზომიერებად აქცია.

სულაც არ მინდა ვიფიქრო, რომ ნ. შჩარანსკის ფაქტის მიჩქმალვა ეწადა, ასეთი სურვილიც ჰქონოდა, ბრალეული მომხსენებელი კი არა, ისევ ჩვენა ვართ — ქართველი ებრაელები. იმის, გამო, რომ ჩვენ სათანადო სიმაღლეზე არ ავზიდეთ 18 ქართველი ებრაელის მამაცობა, მომხსენებელს მივეცით მისი მიჩქმალვის საშუალება. ასეთი ფაქტი რომ რუსეთის, უკრაინის ებრაელთა ბიოგრაფიაში ყოფილიყო, წარმოდგენილი მაქვს, როგორ დატვირთვას მისცემდნენ მას, რაოდენ პოპულარული გახდებოდა.

გენერალური ასამბლეის მომდევნო დღეს, ისრაელის ქნესეთის ალიისა და აბსორბციის კომიტეტის სხდომაზე იგივე საკითხი განიხილებოდა. სიტყვა მოვითხოვე და გულისტკივილი გამოვთქვი შჩარანსკის უყურადღებობის გამო, ვისაუბრე 18 ქართველი ებრაელის წერილის მნიშვნელობაზე უზარმაზარი საბჭოეთიდან რეპატრიაციის დაწყების საქმეში. სასიამოვნო გახლდათ, ის რომ ჩემს კვალდაკვალ ჯ.აჯიაშვილმაც ითხოვა სიტყვა და გაიზიარა ჩემი გამოსვლის პათოსი.

ან თუნდაც ის აქცია რად ღირს, ქართველმა ებრაელებმა 1971 წელს მოსკოვის გულში, გორკის ქუჩაზე მდებარე ტელეგრაფის შენობაში რომ მოაწყეს — ორდღიანი შიმშილობა რეპატრიაციის მოთხოვნით. როგორც ჩვენს ზემოთ ხსენებულ ფილმში „თუ დაგივიწყო, იერუშალაიმ!..“ ერთ-ერთი რესპოდენტი აცხადებს, ქართველ ებრაელთა ამ აქციამ მოსკოვის დისიდენტურად განწყობილი ინტელიგენცია თავისი ქმედებების ეფექტურობაზე დააფიქრა, ანდრეი სახაროვი კი აღაფრთოვანა: ჩვენი საუბრები სამზარეულოებს ვერ გასცდა, აი, ქართველი ებრაელები კი რას აკეთებენო.

აი, რატომ გახლავთ დასაფასებელი და სანაქებო აბრამ მიხაელის ინიციატივა — იგი იბრძვის ისტორიული სიმართლის აღდგენისა და დამკვიდრებისათვის, იბრძვის იმისათვის, რომ მსოფლიოს ებრაელობამ იცოდეს ქართველ ებრაელთა არსი და დამსახურება, ერთგულება ეროვნული ღირებულებებისადმი. ეროვნული ღირებულება კი გახლავთ სამშობლო, რწმენა.

აბრამ მიხაელი მოითხოვს 18 ქართველი ებრაელის საგა ისწავლებოდეს სკოლაში — შევიდეს სასკოლო სახელმძღვანელოებში, საქართველოში ისრაელის ყოფილი ელჩი რივკა ქოენი ცდილობს, ჩვენი ფილმი „თუ დაგივიწყო, იერუშალაიმ!“ შეტანილი იქნას სასკოლო პროგრამაში.

რაზე მეტყველებს ყველაფერი ეს, რას გულისხმობს აბრამ მიხაელის წინადადება?

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მიმობნეულ ქართველ ებრაელობას სჭირდება ერთი იდეით გაერთიანება, ინტელექტუალური კონცენტრირება ეროვნული ღირებულებების გამოკვეთისა და დაცვის მიზნით. დღეს ეს მისია თავს იდო, არა ამა თუ იმ საზოგადოებრივმა ინსტიტუტმა, ერთმა ადამიანმა — აბრამ მიხაელმა. მან წამოჭრა საკითხი, რომლის გაღრმავება სათანადო დონეზე წარმოჩენა, ქართველ ებრაელობას სრულიად სხვა გრადაციაში წარმოაჩენს.

ძნელი არ არის იმის წარმოდგენა, რომ ამ ახალი სიმაღლიდან სრულიად სხვა პერსპექტივები გამოჩნდება.

ახალი სეფერ-თორა

17 ნოემბერს თბილისის დიდ ბეით ქნესეთს ეწვენენ რაბინები ისრაელიდან და ამერიკის შეერთებული შტატებიდან. ჩამოსული იყო სულ 32 სასულიერო პირი. ამერიკის შეერთებული შტატების ყველაზე დიდი სათემოს რაბინი მათათიაჰუ სოლომონი თავის მოსწავლეებთან ერთად, რომლებმაც მასწავლებლის საპატივსაცემოდ დაიწყეს ახალი სეფერ-თორის დაწერა, რაშიც ბეით ქნესეთის ჯამაათის წევრებმაც მიიღეს მონაწილეობა.

საღამო ხანს დიდ ბეით ქნესეთში დიდძალი ხალხი შეიკრიბა. სიტყვას ამბობენ საქართველოს მთავარი რაბინი არიელ ლევინი, ხახამი დავით აზიზოვი.

მათათიაჰუ სოლომონმა განაცხადა:

— თორა ჩვენი ყველაზე დიდი სიწმინდეა, ეს ის თორაა, რომლის შესასწავლად და შესასრულებლად ჩვენი წინაპრები თავს სწირავდნენ. დღეს ჩვენ განსაკუთრებულ ადგილზე ვართ შეკრებილნი და თორის დაწერის მიცვას ვასრულებთ. ეს ის თორაა, რომელიც აღრმავებს ჩვენს რწმენას, ჩვენთვის მოაქვს სიხარული. დღეს ჩვენ ყველანი გახარებულნი და ბედნიერნი ვართ. ყველას გილოცავთ დღევანელ დღეს. განსაკუთრებული განცდა ექნება დღეს ისრაელის შვილს, რადგან სახლში გახარებულები, სულიერად ამაღლებულები დაბრუნდებიან. ეს არის საწინდარი იმისა, რომ ყველას ოჯახში გამეფდეს სიყვარული, მშვიდობა, სიხარული, ყველა დამადლიანდეს, რაც შეიძლება მეტ მიცვაზე. ისრაელში, საქართველოში, მთელ მსოფლიოში იყოს მშვიდობა.

საქართველოს ებრაელთა მთავარი რაბინი **არიელ ლევინი**:

— ჩამოვიდა ორგანიზაცია, რომელსაც ჰქვია — ებრაელთა დახმარების კომიტეტი, ეს ორგანიზაცია უკვე ოცი წელია მატერიალურად ეხმარება თბილისის ებრაულ ვაჟთა და გოგონების სკოლას. აქ ყოველ წელს ჩამოდიან რაბინები და კითხულობენ ლექციებს. წელსაც ჩამოვიდნენ, რათა მხარი დაუჭირონ ჩვენს სათემოს. დიდ რაბინთან მათათიაჰუ სოლომონთან, რომელიც შეერთებულ შტატებში ყველაზე დიდ სათემოს განაგებს, მასთან ერთად ჩამოსულნი არიან მისი მოსწავლეები, რომელთაც სურთ მასწავლებლის საპატივსაცემოდ დაწერონ სეფერ-თორა. თბილისის ჯამაათმა ამ წამოწყებას მხარი დაუჭირა.

მალე მე ქართულ ენაზე გამოვცემ წიგნს, მართალია, ქართულ ენაზე კარგად ვერ ვსაუბრობ, მაგრამ მეხმარებიან. წიგნი დაწერილია თორის ყოველკვირეულ საკითხავზე (ფარაშათ შავუა), ყოველი კვირის თავს დართული აქვს კომენტარები. გამიხარდება, თუ ამ წიგნს, ყოველ ოჯახში შაბათ დღეს წაიკითხავენ.

— თბილისის გარდა, რომელ ქალაქს ესტუმრნენ სასულიერო პირები?

— ჩვენ ერთად ვიყავით გორში, მოვინახულეთ გორის სინაგოგა, ხესედი და შევხვდით ჯამაათს. ახლა სინაგოგაში პირდაპირ გორიდან მოვედით.

თბილისში დაიწერა ახალი სეფერ-თორის 50 ასო, აქედან 20 დაწერეს დიდი რაბის მოსწავლეებმა, 30 თბილისის ჯამაათის წევრებმა.

ახალი სეფერ-თორის შექმნის ფაქტმა ჯამაათის დიდი ინტერესი გამოიწვია.

აფეთქების თაობაზე

16 ნოემბერს, ისლამური რევოლუციის დაცვის კორპუსის გენშტაბის მეთაურმა, გენერალმა ჰასან ფიროუზბადიმ თეირანში გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ „ამირ ალ-მომენინ“-ის ბაზაზე, სარაკეტო საწყობში მომხდარ აფეთქებასთან კავშირი არც ისრაელს აქვს და არც აშშ-ს. ამის შესახებ სააგენტოები „Mehr“ და „ISNA“ იუწყებიან.

გენერალმა დასძინა, რომ საწყობში აფეთქება რაკეტის გადმოტვირთვის დროს მოხდა. მისი თქმით, ამ რაკეტის მეშვეობით, შესაძლებელი იყო ისრაელის ტერიტორიაზე სამიანეების განადგურება. ისლამური რევოლუციის დაცვის კორპუსის გენშტაბის მეთაური ჟურნალისტებს დაპირდა, რომ ბაზას, რომელზეც აღნიშნული ინციდენტი მოხდა, უახლოეს ორ კვირაში აღადგენენ.

შეგახსენებთ, რომ „ამირ ალ-მომენინ“-ის ბაზაზე, რომელიც თეირანის სამხრეთ-დასავლეთით 40 კილომეტრში მდებარეობს, 12 ნოემბერს, აფეთქების შედეგად 17 ირანელი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა. მათ შორის „ირანის სარაკეტო პროგრამების მამა“ გენერალ-მაიორი ჰასან ტეჰრან მოკადამი.

ამ ინციდენტიდან მოკლე ხანში, ამერიკულ ჟურნალ „Time“-ში გამოქვეყნდა ვერსია, თითქოს ამ აფეთქებასთან კავშირი ჰქონდა ისრაელის დაზვერვას „mosad“-ს.

მოგვიანებით აღნიშნულ ინციდენტთან ისრაელის კავშირზე, ბრიტანულ „The Guardian“-თან ინტერვიუში, ირანის ერთ-ერთი სახელმწიფო სტრუქტურის ყოფილი გენერალური დირექტორიც ალაპარაკდა. რიგმა გამოცემებმა კი მისი პოზიციის არასწორი ინტერპრეტაცია მოახდინეს და ჩათვალეს, რომ ამ საკითხთან მიმართებაში „თეირანმა პოზიცია შეიცვალა“.

არაბულ და დასავლურ მასმედიაში გაჟღერდა მოსაზრება, რომ „mosad“-ის მიერ გაწვრთნილმა სუნიტმა ბოევიკებმა დივერსია მოაწყეს და აფეთქება სწორედ ამ მიზეზით მოხდა.

ამავდროულად, თვითმხილველები ყვებიან, მათ ორი აფეთქების ხმა გაიგეს. პირველ შემთხვევაში თითქოს ბომბი ზემოდან ჩამოვარდა, რის შემდეგაც უშუალოდ რაკეტა „Sibah“-ი აფეთქდა. ამ ადამიანების მონათხრობზე დაყრდნობით კი, ზოგიერთი ბლოგერი ვარაუდობს, რომ ირანის სარაკეტო ბაზაზე წერტილოვანი დარტყმა აშშ-ს ან ისრაელის უპილოტო თვითმფრინავებმა განახორციელეს.

აჰმადინეჯადის მუქარა

ირანის პრეზიდენტმა მაჰმუდ აჰმადინეჯედმა ეგვიპტურ გაზეთთან „ალიონ ალ-საბა“ ინტერვიუში განაცხადა, რომ ირანის ეგვიპტესთან კავშირი ისრაელის მსოფლიო რუქიდან წაშლას და შეერთებული შტატების გავლენის შესუსტებას ემსახურება.

აჰმადინეჯადიმ უარყო ხმები ირანისა და ეგვიპტის ხალხს შორის უთანხმოების შესახებ, რაც, მისი სიტყვებით, ორ ხალხს შორის ურთიერთობის დაძაბვას ემსახურება და ირანს ძალიან კარგი ურთიერთობა აქვს მეზობელ არაბებთან.

სირიის შესახებ აჰმადინეჯედმა განაცხადა, რომ თეირანი ამ ქვეყნის შიდა საქმეებში არ ერევა, მაგრამ ირანის ხელმძღვანელობა სირიის ყველა პოლიტიკურ ძალასთან კავშირშია, რათა დახმარება გაუწიოს კრიზისის დაძლევაში.

კაბალა

ხორხე ლუის ბორხესი

ქალბატონებო და ბატონებო!

კაბალას სახელით ცნობილ განსხვავებულ, ხანდახან კი ურთიერთსაწინააღმდეგო თეორიებს საფუძვლად უდევს ჩვენი, დასავლური აზროვნებისთვის სრულიად უცხო ცნება — წმინდა წიგნის ცნება. მიიჩნევენ, რომ ჩვენთან არის ამგვარი ცნება — კლასიკური წიგნი. ოსვალდ შპენგლერისა და მისი წიგნის („ევროპის დაისი") დახმარებით ალბათ არ გამიჭირდება ჩვენება, რომ ეს ცნებები სრულიად განსხვავებულია. დავუკვირდეთ სიტყვას „კლასიკური". როგორია მისი ეტიმოლოგია? „კლასიკური" სათავეს იღებს სიტყვიდან „ცლასსის" — „ფრეგატა", „ესკადრა". კლასიკური წიგნი — მოწესრიგებული, აკურატული, „shipshare", როგორც ინგლისელები ამბობენ. ამ მოკრძალებულ მნიშვნელობასთან ერთად კლასიკური წიგნი ნიშნავს ერთგვარად გამორჩეულს. „დონ კიხოტს", „კომედიას", „ფაუსტს" ვეძახით კლასიკურ ნაწარმოებებს.

იმის მიუხედავად, რომ ამ წიგნების კულტი თითქმის უსაზღვროა, მათი აღქმა სხვაგვარია. ბერძნები „ილიადასა" და „ოდისეას" კლასიკად მიიჩნევდნენ. პლუტარქეს სიტყვით, ალექსანდრეს ბალიშის ქვეშ ედო ხმალი და „ილიადა" — თავისი მეომრული ხვედრის ორი სიმბოლო. თუმცა არც ერთი ბერძენი არ მიიჩნევდა, რომ „ილიადა" სრულყოფილია. ალექსანდრიაში ბიბლიოთეკარები „ილიადას" სასწავლად იკრიბებოდნენ, და შესწავლისას მოიფიქრეს ესოდენ აუცილებელი სასვენი ნიშნები (რომლებიც ახლა, სამწუხაროდ, დავიწყებულია). „ილიადა" გამორჩეული წიგნი გახლდათ, მას პოეზიის მწვერვალად მიიჩნევდნენ, მაგრამ არ ფიქრობდნენ, რომ მასში ყოველი სიტყვა, ყოველი სტრიქონი უცილობელია. ეს სრულიად სხვა დამოკიდებულებაა.

ჰორაციუსი ამბობს: „ხანდახან ჰომეროსიც თვლემს". მაგრამ არავინ არ იტყვის, ხანდახან სულიწმინდასაც სძინავსო.

ინგლისელი მთარგმნელი ქალღმერთს საერთოდ არ ახსენებს ჰომეროსის სიტყვების გადმოცემისას: „რისხვავ, ქალღმერთო, უმღერე აქილევსს, პელევსის ვაჟს" ნათარგმნია: „An angry man, this is my subject". მთარგმნელი ტექსტს ეკიდება არა როგორც წიგნს, სადაც ყოველი ასო აღმატებულია, არამედ ისტორიული თვალსაზრისით განიხილავს მას; კლასიკურ ნაწარმოებებს შეისწავლიდნენ და შეისწავლიან ისტორიული თვალსაზრისით, ისინი კონტექსტშია. წმინდა წიგნს სრულიად სხვა მნიშვნელობა აქვს.

ახლა განვიხილავთ წიგნს, როგორც ინსტრუმენტს, რომელიც გამოიყენება იმისთვის, რომ გაამართლო, უარყო, განავითარო ან დააფუძნო თეორია. ანტიკურობაში მიიჩნევდნენ, რომ წიგნი ზეპირი მეტყველების სუროგატია, მას მხოლოდ ამ თვალით უყურებდნენ. გავიხსენოთ ფრაგმენტი პლატონიდან, სადაც ის ამბობს, რომ წიგნები ქანდაკებებს ჰგვანან; ცოცხლები გვგონია, მაგრამ რამეს თუ ვკითხავთ — ვერ გვიპასუხებენ. ამის დასაძლევადაა მოფიქრებული პლატონისეული დიალოგი, რომელიც თემის ყველა შესაძლებლობას ამოწურავს.

კიდევ ჩვენთვის ცნობილია ერთი, ძალზე ლამაზი და ძალზე საგულისხმო წერილი, რომელიც, პლუტარქეს თანახმად, ალექსანდრე მაკედონელს გაუგზავნია არისტოტელესათვის. არისტოტელეს ახალი გამოცემული ჰქონია „მეტაფიზიკა", ანუ მისი ასლების მომზადება უბრძანებია. ალექსანდრე კიცხავს, ეუბნება, ახლა ყველა გაიგებს იმას, რაც ადრე მხოლოდ რჩეულებმა იცოდნენო. არისტოტელე თავს იმართლებს, უეჭველია, გულწრფელად: „ჩემი ტრაქტატი გამოქვეყნებულიცაა და გამოუქვეყნებელიც." ითვლებოდა, რომ წიგნი თემას სრულად არ ამოწურავს, მას ერთგვარ ცნობარად მიიჩნევდნენ, ზეპირი სწავლების დამატებად.

ჰერაკლიტე და პლატონი სხვადასხვა მიზეზებით აკრიტიკებდნენ ჰომეროსის ნაწარმოებებს. ამგვარი წიგნები დიდებითაა მოსილი, მაგრამ წმინდად არ ითვლება. ეს სპეციფიკურად აღმოსავლური ცნებაა.

პითაგორას არცერთი დაწერილი სტრიქონი არ დაუტოვებია. ვარაუდობენ, ალბათ ტექსტით არ იზღუდებოდაო. სურდა, რომ მის აზრს გაეგრძელებინა სიცოცხლე და მისი მოწაფეების აზროვნებაში განვითარებულიყო. აქედან მოდის გამოთქმა „აგისტერ დიხიტ", რომელსაც ყოველთვის არასწორად იყენებენ. „აგისტერ დიხიტ" არ ნიშნავს, რომ „მასწავლებელმა ასე თქვა" და კამათი დასრულებულია. პითაგორელი გადმოსცემდა თეორიას, რომელიც შესაძლოა არ ეყრდნობოდეს პითაგორას ტრადიციას, მაგალითად, ციკლური დროის თეორიას. მას შეედავებოდნენ: „ეს ტრადიციას არ ეყრდნობა". პასუხობდა: „აგისტერ დიხიტ", რაც სიახლის შეტანის საშუალებას აძლევდა. პითაგორა ფიქრობდა, რომ წიგნები ხელ-ფეხს უკრავს ადამიანს, ან წმინდა წერილისა არ იყოს, სიტყვა ჰკლავს და მხოლოდ სული აცოცხლებს.

შპენგლერი მაგიური კულტურისადმი მიძღვნილი წიგნის „ევროპის დაისი" ერთ-ერთ თავში შენიშნავს, რომ მაგიური წიგნის პროტოტიპია ყურანი. მაჰმადიან ღვთისმეტყველთათვის, ულემებისთვის, ყურანი სხვა წიგნებს არა ჰგავს. ეს წიგნი წინ უსწრებს არაბულ ენას (დაუჯერებელია, მაგრამ ასეა); მას ვერ შეისწავლი ვერც ისტორიული, ვერც ფილოლოგიური კუთხით, რადგან იგი არაბებზე უფროსია, იმ ენაზე უფროსია, რომელზეცაა დაწერილი, სამყაროზე უფროსია. ყურანი ღვთის ქმნილებადაც კი არ მიიჩნევა, ეს რაღაც უფრო ახლობელია და უფრო იდუმალი. მართლმორწმუნე მაჰმადიანებისთვის ყურანი ღმერთის ისეთივე ატრიბუტია, როგორიც მისი რისხვა, მოწყალება ან სამართლიანობა. თვით ყურანში ლაპარაკია საიდუმლო წიგნზე, წიგნთა დედაზე, იგი წარმოადგენს არქეტიპს ყურანისა, რომელიც ზეცაშია და ანგელოზები თაყვანს სცემენ.

ასეთია ცნება წმინდა წიგნისა, რომელიც საფუძველშივე განსხვავდება კლასიკური წიგნისგან. წმინდა წიგნში წმინდაა არა მხოლოდ სიტყვები, არამედ მათი შემადგენელი ასოებიც. ამგვარ მიდგომას იყენებენ კაბალისტები წმინდა წერილის შესწავლისას. ჩემი ვარაუდით, კაბალისტების მოდუს ოპერანდი* განპირობებულია იუდაისტურ მისტიკაში გნოსტიკოსთა ფილოსოფიის შეტანის სურვილით, რათა წმინდა წერილი მოიხმონ და მართლმორწმუნეებად დარჩნენ. ყოველ შემთხვევაში, თვალსაჩინოა (ალბათ ეს სიტყვა არ უნდა გამომეყენებინა), თუ როგორი იყო და არის მოდუს ოპერანდი კაბალისტთა, რომლებმაც თავიანთ საოცარ მეცნიერებას ხელი მოჰკიდეს საფრანგეთის სამხრეთში, ესპანეთის ჩრდილოეთში — კატალონიაში, შემდეგ — იტალიაში, გერმანიასა და სხვა ქვეყნებში. ბოლოს ისრაელამდე მივიდნენ, მაგრამ მოძღვრება იქიდან არ მოდის, იგი იწყება გნოსტიკოს მოაზროვნეთა და კატარებისგან.

აზრი ასეთია: ხუთწიგნეული, თორა – წმინდა წიგნია. უსაზღვრო გონი დამდაბლდა ადამიანურ ამოცანამდე — შეექმნა წიგნი. სულიწმინდა დამდაბლდა ლიტერატურამდე, რაც ისევე დაუჯერებელია, როგორც ვარაუდი, რომ ღმერთი ისე დამდაბლდა, რომ ადამიანი იყო. მაგრამ სწორედაც დამდაბლდა, პირდაპირი გაგებით. სულიწმინდა დამდაბლდა ლიტერატურამდე და შექმნა წიგნი. ასეთ წიგნში შემთხვევითი არაფერი არ შეიძლება იყოს, მაშინ, როცა ადამიანთა დაწერილ ყველა ქმნილებაში არის რაღაც შემთხვევითი.

ცნობილია, თუ რა კრძალვას იწვევს „დონ კიხოტი", „მაკბეტი" ან „სიმღერა როლანზე" და ბევრი სხვა წიგნი, რომელიც უმეტესწილად თითო ერს თითო აქვს. გამონაკლისია საფრანგეთი, რომელსაც ისეთი მდიდარი ლიტერატურა მოეპოვება, რომ სულ მცირე, ორ კლასიკურ ნაწარმოებს ითვლის, — თუმცა ამას მოვეშვათ.

კეთილი. თუკი შემთხვევით მავანი ფილოლოგი-სერვანტესოლოგი იტყვის, „დონ კიხოტი" იწყება სიტყვით, რომელიც შედგება სამი ასოსგან (ერთ), მერე მოსდევს ექვსასოიანი სიტყვა (პატარა) და მერე — ორი სიტყვა, ექვსასოიანი და რვაასოიანი (სოფელში, პროვინცია), და მოინდომებს აქედან გამოიტანოს დასკვნები, მაშინვე შეშლილად გამოაცხადებენ. ბიბლია კი სწორედ ასე შეისწავლება.

მაგალითად, ამბობენ, რომ იგი იწყება „ბეტ"-ით, სიტყვა „breshit"-ის პირველი ასოთი. რატომ იწყება „ბეტ"-ით? იმიტომ, რომ ებრაულ ენაში ეს საწყისი ასო აღნიშნავს იმავეს, რასაც საწყისი ასო ესპანურ სიტყვაში „ბენდიციონ"*, ტექსტი არ შეიძლება, დაიწყოს ასოთი, რომელიც წყევლას შეესაბამება; იგი დალოცვით უნდა იწყებოდეს. „ბეთ" — პირველი ასოა ებრაული სიტყვისა „ბრახა", რომელიც ნიშნავს დალოცვას.

არის კიდევ ერთი, ძალზე საგულისხმო გარემოება, რომელმაც გავლენა უნდა იქონიოს კაბალაზე: ღმერთმა, ვისი სიტყვებიც მისივე შრომის იარაღია (როგორც მიაჩნია შესანიშნავ მწერალს საავედრა ფახარდოს), სამყარო მხოლოდ სიტყვების დახმარებით შექმნა: „იყავნ ნათელი" — და გაჩნდა ნათელი. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ სამყარო შეიქმნა სიტყვა „ნათელის" მეშვეობით. სხვა სიტყვა რომ თქმულიყო და სხვა ინტონაციით, შედეგი იქნებოდა არა ნათელი, არამედ რაღაც სხვა.

მივედით ისეთივე დაუჯერებელ მოსაზრებამდე, როგორიც ისაა, რაზეც წეღან ვლაპარაკობდი; იგი აოცებს ჩვენს დასავლურ გონებას, ყოველ შემთხვევაში, ჩემსას, და ეს უნდა გიამბოთ. მიგვაჩნია, რომ ადრე სიტყვებს წარმოთქვამდნენ, მერე კი წერილობით დაუწყეს გამოსახვა. კაბალა (რომელიც ნიშნავს „გადმოცემას", „ტრადიციას") პირიქით, ვარაუდობს, რომ ასოები უფრო ადრე არსებობდა. ანუ თითქოსდა, გამოცდილების საწინააღმდეგოდ, დამწერლობა წინ უსწრებს ზეპირმეტყველებას. მაშინ წერილში შემთხვევითი არაფერია; ყველაფერი წინასწარგანსაზღვრული უნდა იყოს. მაგალითად, ასოთა რაოდენობა ყოველ ლექსში.

შემდეგ კაბალისტები ასოებრივ შესაბამისობებს ეძებენ. წერილი განიხილება, როგორც დაშიფრული, კრიპტოგრაფიული ნაწერი, იქმნება მისი წაკითხვის ახალი კანონები. შეიძლება, ავიღოთ წერილის ნებისმიერი ასო და განვიხილოთ, როგორც სხვა სიტყვის საწყისი ასო. ასევე შეიძლება მოქცევა ტექსტის ნებისმიერ ასოსთან დაკავშირებით.

შეიძლება შეიქმნას ორი ალფაბეტი: ერთი, მაგალითად, ა-დან ლ-მდე და მეორე — ლ-დან ზ-მდე, ან შესაბამისი ებრაული ასოდან ასომდე; მიიჩნევა, რომ პირველის ასოები მიესადაგება მეორის ასოებს. მაშინ შეიძლება ტექსტის წაკითხვა ბუსტროფედონის (ბერძნულად რომ ვთქვათ) მეთოდით, ანუ მარჯვნიდან მარცხნივ, მერე მარცხნიდან მარჯვნივ, მერე მარჯვნიდან მარცხნივ. შეიძლება ასოებს ციფრების მნიშვნელობა მივანიჭოთ. ყოველივე ეს ჰქმნის საიდუმლო დამწერლობას, შეიძლება მისი გაშიფვრა, და შედეგები მნიშვნელობითაა აღსავსე, რადგან წინასწარ იყო განჭვრეტილი ღვთაებრივი გონის მიერ. ამგვარად, მოძღვრებამდე მიდიან ამ კრიპტიგრაფიის მეშვეობით, იმ მოქმედებით, რომელიც პოს „ოქროს ხოჭოს" გვახსენებს.

ჩემი ვარაუდით, მოძღვრება მოდუს ოპერანდიზე უფრო ადრე გაჩნდა. ასე მგონია, რომ კაბალასაც ის დაემართა, რაც სპინოზას ფილოსოფიას: მათემატიკური წესრიგი მოგვიანებით გაფორმდა. მგონია, რომ კაბალისტებმა გნოსტიკოსების გავლენა განიცადეს და რაკი ძველებრაულ ტრადიციასთან იყვნენ დაკავშირებულები, გამოძებნეს ეს საკვირველი ხერხი ასოების გაშიფვრისა.

კაბალისტთა მოდუს ოპერანდი ეფუძნება ლოგიკურ წინაპირობას, აზრს, რომ წერილი სრულყოფილი ტექსტია და არ შეიძლება რაიმე შემთხვევითს შეიცავდეს.

სრულყოფილი ტექსტები არ არსებობს, ყოველ შემთხვევაში, ადამიანის მიერ შექმნილ ტექსტთა შორის. პროზაში დიდი ყურადღება ეთმობა სიტყვათა მნიშვნელობას, ლექსებში — ჟღერადობას. სულიწმინდას მიერ შექმნილ ტექსტში როგორ ვივარაუდოთ სისუსტე, უყურადღებობა? ყველაფერი წინასწარ უნდა იყოს გათვალისწინებული. ეს წინასწარგანსაზღვრულობა უდევს საფუძვლად კაბალისტთა მოძღვრებას.

თუკი წმინდა წერილი უსასრულო არ არის, მაშ რით განსხვავდება იგი ადამიანთა ნაწარმოებებისგან, რა განსხვავებაა მეფეთა წიგნსა და ისტორიის სახელმძღვანელოს, ქებათაქებასა და პოემას

შორის? უნდა ვივარაუდოთ, რომ ყველას ურიცხვი მნიშვნელობა აქვს. სკოტ ერიგუენა ამბობდა, ბიბლიის მნიშვნელობათა რიცხვი უსასრულოაო, და მას ფარშევანგის ათასფრად მოელვარე კუდს ადარებდა.

სხვა განმარტებით, წმინდა წერილში ოთხი მნიშვნელობაა. სისტემა ასე გამოიყურება: ჯერ — არსება, რომელიც სპინოზას ღმერთსა ჰგავს, იმ განსხვავებით, რომ სპინოზას ღმერთი უსაზღვროდ მდიდარია; ენ-სოფი, პირიქით, უსაზღვროდ ღატაკად წარმოგვიდგება. ლაპარაკია პირველად არსებაზე, მასზე ვერ ვიტყვით — „არსებობს“, რადგან არსებობენ ვარსკვლავები, ადამიანები, ჭიანჭველები. როგორ შეიძლება ერთ კატეგორიას მივეკუთვნებოდეთ? არა, ეს პირველადი არსება არ არსებობს. მასზე ვერ იტყვი, აზროვნებსო, ვინაიდან აზროვნება ლოგიკური პროცესია, რომელიც წანამძღვარიდან დასკვნისკენ მიდის. ვერ იტყვი, რამე სურსო, რადგან სურვილი ნიშნავს, გრძნობდე, რომ რაღაც გაკლია. და ვერ იტყვი, ქმნისო, რადგან შექმნა ნიშნავს მიზნის დასახვასა და მიღწევას. გარდა ამისა, თუკი ენ-სოფი უსასრულოა (სხვადასხვა კაბალისტები მას ადარებენ ზღვას — უსასრულობის სიმბოლოს), როგორ შეუძლია რამე სხვა ისურვოს? და რა შეუძლია, შექმნას თუ არა მეორე უსასრულო არსება, რომელიც მას შეერწყმის? რაკი, საუბედუროდ, გარდაუვალია სამყაროს შექმნა, არსებობს ათი ემანაცია, სეფორიტები, რომლებიც მისგან წარმოიშობიან, მაგრამ მასზე გვიანდელნი არ არიან.

იდეა მარადიული არსებისა, რომლისგანაც ყოველთვის მომდინარეობს ათი ემანაცია, რთული გასაგებია. ეს ათი ემანაცია ერთიმეორისგან წარმოიშობა. ტექსტში წერია, რომ ისინი შეესაბამება ხელის ათ თითს. პირველ ემანაციას ეწოდება გვირგვინი, და ის შეიძლება შევადაროთ ენ-სოფისგან მომდინარე სინათლის სხივს, სხივს, რომელიც მას არ ამცირებს: უსასრულო არსება ვერ დაპატარავდება. გვირგვინისგან იფრქვევა შემდეგი ემანაცია, მისგან კიდევ სხვა, მერე კიდევ და ასე ათამდე. პირველი ემსახურება უზენაეს არსებასთან კავშირს: მეორე, ძირითადი, არსს გამოხატავს: მესამე განკუთვნილია უმდაბლეს ემანაციასთან კავშირისთვის.

ათი სეფიროტი ქმნის ადამიანს, სახელად ადამ კადმონს, ეს ადამიანი-არქეტიპია. ადამ კადმონი ზეცაშია, და ჩვენ მის ანარეკლს წარმოვადგენთ. ეს ადამიანი შექმნილია ათი ემანაციით, და ასხივებს ერთ სამყაროს, მეორეს და ასე ოთხამდე. მესამე ჩვენი მატერიალური სამყაროა, მეოთხე — ჯოჯოხეთი. ყველა ადამ კადმონშია, რომელიც მოიცავს ადამიანს და მის მიკროკოსმოსს, ყველაფერს.

აქ არ არის ლაპარაკი ფილოსოფიის ისტორიის მუზეუმის ექსპონატზე; ჩემი აზრით, შესაძლებელია ამ სისტემის გამოყენება: ის შეიძლება ემსახურებოდეს ჩვენს ფიქრებს, სამყაროს გაგების ცდას. გნოსტიკოსები რამდენიმე საუკუნით უსწრებდნენ წინ კაბალისტებს; მათ ჰქონდათ მსგავსი სისტემა, რომელიც გულისხმობდა მოუხელთებელ ღმერთს — მას სახელად ლერომა (მთლიანობა) ჰქვია და ასხივებს სხვა ღმერთს (ირინეის ერეტიკულ ვერსიას), ეს ღმერთი — კიდევ ერთ ემანაციას, ის — კიდევ შემდეგს და ყოველი მათგანი ქმნის ზეცას (ემანაციების მთელი კოშკია). მივდივართ რიცხვამდე 365, რამდენადაც აქ ჩარეულია ასტროლოგია. უკანასკნელ ემანაციამდე რომ მივაღწევთ, ვხვდებით ღმერთს, სახელად იეღოვა, რომელიც ქმნის ამ ქვეყნიერებას. რატომ არის მის მიერ შექმნილი ქვეყნიერება სავსე შეცდომებით, საშინელებით, ცოდვებით, ფიზიკური ტკივილით, სავსე სინდისის ქენჯნით, სავსე დანაშაულით? ღვთიურობა კლებულობს და იეღოვა ქმნის შეცდომებისკენ მიდრეკილ სამყაროს.

იმავე სქემას იმეორებს ათი სეფიროტი და მათი შექმნილი ოთხი სამყარო. ეს ათი ემანაცია რაც უფრო შორდება ენ-სოფს, უსასრულობას, „საიდუმლოთა“ საიდუმლოს, — როგორც ამბობენ კაბალისტები თავიანთ, ხატოვან ენაზე — მით უფრო ჰკარგავს ძალას და სწორედ ამგვარად ჰქმნის ამ ქვეყნიერებას. ქვეყნიერებას, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, უამრავ შეცდომას ჩავდივართ, მზად ვართ უბედურებებისა და წარმავალი წარმატებისთვის. ეს აზრი აბსურდული არ არის; ჩვენ აღმოვჩნდით ბოროტების მარადიული პრობლემის წინაშე, იგი დიდებულადაა გადმოცემული იობის წიგნში, რომელიც, ფროიდის აზრით, მთელი მსოფლიოს ლიტერატურის უდიდესი ნაწარმოებია.

გაიხსენეთ იობის ამბავი. ესაა მართალი ადამიანი, რომელსაც დევნიან, ადამიანი, რომელსაც სურს, უფლის წინაშე გამართლდეს, მეგობრებისგან გაკიცხული ადამიანი, ადამიანი, რომელსაც სამართლიანობის იმედი აქვს; დაბოლოს, უფალი იობს ქარიშხლიდან პასუხობს. ამბობს, რომ შორსაა ადამიანური საზომისგან. ამის დასტურად მოჰყავს თავისივე შექმნილი ბეჰემოთი და ვეშაპი. უნდა შევიგრძნოთ, შენიშნავს მაქს ბროდი, რომ ბეჰემოთი „ეგემოტჰ“ („მხეცები“) ისეთი უზარმაზარია, რომ სახელი მრავლობით რიცხვში ჰქვია, ლევიათანი კი შეიძლება ორიდან ერთ-ერთი ცხოველი იყოს — ნიანგი ან ვეშაპი. ღმერთი ამბობს, რომ იგი ისეთივე მიუწვდომელია, როგორც ეს ურჩხულები, და ადამიანური საზომებით ვერ განიზომება.

ამასვე ასკვნის სპინოზა — ამბობს, როცა ადამიანი ღმერთს ადამიანურ თვისებებს სძენს, ეს იგივეა, რაც სამკუთხედი რომ ღმერთს მიიჩნევდეს სამკუთხედად უმაღლეს ხარისხშიო. იმის თქმა, რომ ღმერთი სამართლიანია, გულმოწყალეა — ისეთივე გამოვლინებაა ანთროპომორფიზმისა, როგორც მტკიცება, რომ ღმერთს აქვს სახე, თვალები ან ხელები. და აი, ჩვენ გვაქვს უმაღლესი ღვთაება და უდაბლესი რიგის ემანაცია. „ემანაცია“ შესაფერისი სიტყვა ჩანს, რადგან ღმერთი არ შეიძლება დამნაშავე იყოს — როგორც შოპენჰაუერი ამბობდა, დამნაშავეა არა მეფე, არამედ მინისტრები; ჩვენს სამყაროს ემანაციები ჰქმნის.

არსებობს რამდენიმე მცდელობა ბოროტების გამართლებისა. დავიწყებ თეოლოგთა კლასიკური განსაზღვრებიდან, რომელიც ამტკიცებს, რომ ბოროტება უარყოფაა, და თუ იტყვი „ბოროტი“, ეს ნიშნავს, რომ უბრალოდ ადასტურებ სიკეთის არყოფნას; ასეთი გამართლება ყალბი მოეჩვენება ნებისმიერ ადამიანს, ვისაც შეგრძნების უნარი აქვს. ნებისმიერი ფიზიკური ტკივილი თუ არა მეტი, არც ნაკლები შეგრძნებაა, ვიდრე ნებისმიერი ტკბობა. უბედურება — არც ბედნიერების გარეშე ყოფნაა, არც მისი უარყოფა; როცა ცუდად ვართ, ვგრძნობთ უბედურების არსებობას.

ბოროტების არსებობის დასაცავად არსებობს ლეიბნიცის მტკიცებულება — ძალზე მოხდენილი, მაგრამ ისეთივე ყალბი.

წარმოვიდგინოთ ორი ბიბლიოთეკა. ერთი შედგება „ენეიდას“ ათასი ეგზემპლარისგან, რომელიც ითვლება სრულყოფილ წიგნად და შესაძლოა ასეთიცაა. მეორე ბიბლიოთეკაში — სხვადასხვა ღირსების ათასი წიგნია, მათ შორის — „ენეიდას“ ტომი. რომელი ბიბლიოთეკა სჯობს? რასაკვირველია, მეორე. ლეიბნიცი ასკვნის, რომ ბოროტება აუცილებელია სამყაროს მრავალფეროვნებისთვის.

მეორე, ჩვეულებრივ მოყვანილი მაგალითი — ესაა მაგალითი სურათით. მშვენიერი სურათით, ვთქვათ რემბრანდტისა. ტილოზე მუქი ფერები ბოროტებას შეესაბამება. როცა ლეიბნიცი ტილოსა და წიგნის მაგალითს იშველიებს, აშკარად ავიწყდება, რომ ერთია, თუ ბიბლიოთეკაში ცუდი წიგნებია, და მეორეა — თუ ასეთი წიგნი ხარ. თუ ასეთ წიგნთა რიცხვს განვეკუთვნებით, ჯოჯოხეთისთვისა ვართ განწირულნი.

ყველას არ გააჩნია უნარი — არ ვიცი, მე მაქვს თუ არა, — კირკეგორის ექსტაზისა, რომელმაც თქვა, თუკი სამყაროს მრავალფეროვნებისთვის აუცილებელია, რომ ჯოჯოხეთში ერთადერთი სული იყოს და ეს სული ჩემია, მაშინ ჯოჯოხეთის ქვესკნელიდან შევასხამ ხოტბას ყოვლისშემძლე უფალსო.

არ ვიცი, იოლია თუ არა, ამას გრძნობდე; არ ვიცი, ისევ ასე იფიქრებდა თუ არა კირკეგორი, ჯოჯოხეთში რამდენიმე წუთი რომ გაეტარებინა. მაგრამ, როგორც ხედავთ, აზრი ეხება უმთავრეს პრობლემას — ბოროტების არსებობის პრობლემას, რომელსაც გნოსტიკოსები და კაბალისტები ერთნაირად წყვეტდნენ.

ამ პრობლემას წყვეტენ, როცა ამბობენ, რომ სამყარო — არასრულყოფილი ღვთაების ქმნილებაა, ვისი ღვთაებრიობაც ნულის ტოლია. ანუ ღმერთუკასი და არა ღვთისა, ღმერთუკასი, რომელიც ღმერთზე გაცილებით დაბლა დგას. არ ვიცი, შეუძლია თუ არა ჩვენს გონებას, საქმე ჰქონდეს ისეთ განუსაზღვრელ ცნებებთან, როგორიცაა ღმერთი და ღვთაებრიობა; ან ვასილიდის თეორიასთან, გნოსტიკოსთა თეორიასთან 365-სა და ემანაციებზე. თუმცა ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ არასრულყოფილი ღვთაების იდეა — ღვთაებისა, რომელმაც უნდა შეაწებოს ეს სამყარო შეუფერებელი მასალისგან. აქ მივდივართ ბერნარდ შოუს აზრთან. იგი ამბობს: „ღმერთი ახლა იქმნება.“ ღმერთი არ მიეკუთვნება წარსულს, შესაძლოა არ მიეკუთვნება აწმყოს; ღმერთი მარადიულობაა. ღმერთი შეიძლება იყოს მომავალი; თუკი კეთილშობილები, გონიერები, ნათელნი ვართ, ღმერთის შექმნას ვეხმარებით.

უელსის „მარადიულ ცეცხლში“ სიუჟეტი და გმირი იობს გვაგონებს. ნარკოზის ზემოქმედებით გმირს ელანდება ღარიბულად მოწყობილი ლაბორატორია, სადაც ბერიკაცი მუშაობს. ეს ღმერთია; ნაწყენი ჩანს. „რაც შემიძლია, ყველაფერს ვაკეთებ, — ამბობს იგი, — მაგრამ იძულებული ვარ, ძალიან რთულ მასალაზე ვიმუშაო.“ ბოროტება ღვთის ურჩი მასალაა, სიკეთე კი სიკეთეა. საბოლოოდ სიკეთემ უნდა გაიმარჯვოს და იმარჯვებს კიდეც. არ ვიცი, გვჯერა თუ არა პროგრესისა, მე მგონი, გვჯერა, ყოველ შემთხვევაში, გენეტიკური სპირალისა — წინ მივდივართ და უკან ვბრუნდებით, მაგრამ საბოლოოდ უკეთესები ვხდებით. შეიძლება თუ არა ასე ლაპარაკი ჩვენს სასტიკ ეპოქაში? ახლაც აჰყავთ ტყვეები და ადამიანებს ამწყვდევენ ციხეებში, ან შესაძლოა საკონცენტრაციო ბანაკებში. ალექსანდრე მაკედონელის დროს ბუნებრივი იყო, რომ გამარჯვებულთა ჯარი ყველა დამარცხებულს ჰკლავდა და მიწასთან ასწორებდა დაპყრობილ ქალაქს. შესაძლოა უფრო გონიერებიც გავხდით. ამის მოკრძალებული მაგალითია — ჩვენი ინტერესი იმის მიმართ, რასაც კაბალისტები ამბობდნენ. ჩვენი გონება ღიაა, და მზად ვართ შევისწავლოთ არამარტო ზოგიერთის გონიერება, არამედ სხვების სისულელეც, და კიდევ სხვათა ცრურწმენაც. კაბალა მხოლოდ სამუზეუმოდ გამოდგება, იგი აზროვნების მეტაფორის სახეობას წარმოადგენს.

ახლა მინდა ერთ-ერთ მითზე გითხრათ, კაბალას ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო ლეგენდაზე — გოლემზე, მაირინკს ცნობილი რომანი რომ შთააგონა, მე კი — ლექსი. ღმერთმა აიღო მიწის ბელტი („ადამი“ ნიშნავს „წითელ მიწას“), შთაბერა სიცოცხლე და შექმნა ადამი, რომელიც კაბალისტთა გახდა პირველი გოლემი. ის შექმნა ღვთაებრივმა სიტყვამ, სიცოცხლის სუნთქვამ; რაკი კაბალა მიიჩნევს, რომ მთელი ხუთწიგნეული — ღვთის სახელია, სადაც ასოებია გადაადგილებული, მაშინ თუ ვინმე ფლობს ღვთის სახელს ან შეიტყობს ტეტრაგრამატონს — ღვთის სახელს, რომელიც ოთხი ასოსგან შედგება, — და შესძლებს მის სწორად წარმოთქმას, იმასაც შესძლებს, შექმნას სამყარო და შექმნას გოლემი-ადამიანი.

ლეგენდები გოლემზე ჩინებულად გამოიყენა გერშომ შოლემმა „კაბალის სიმბოლიკაში“, რომელიც ახლახან წავიკითხე. ჩემი აზრით, ეს ყველაზე გასაგები წიგნია ამ თემაზე, რადგან დავრწმუნდი, რომ თითქმის უსარგებლოა ორიგინალურ წყაროთა ძიება. წავიკითხე შესანიშნავი და, ვფიქრობ, სწორი თარგმანი (ებრაული, რასაკვირველია, არ ვიცი) „სეფერ იეცირისა“, ან შექმნის წიგნისა ლეონ დუხოვნის მიერ. წავიკითხე „ზოგარის“ ან გასხივოსნების წიგნის თარგმანი. მაგრამ ეს წიგნები კაბალას სასწავლად კი არაა დაწერილი, არამედ მის ჩასანერგად, რათა კაბალას შემსწავლელმა შესძლოს მათი წაკითხვა და შეგრძნება, როგორ ჰმატებენ ისინი ძალას; თუმცა სრულ სიმართლეს არ ამბობენ ისევე, როგორც არისტოტელეს გამოქვეყნებული და იმავე დროს გამოუქვეყნებული ტრაქტატები.

დავუბრუნდეთ გოლემს. ერთი რაბინი შეიტყობს ან ჩასწვდება ღვთის სახელის საიდუმლოს, წარმოთქვამს ადამიანის თიხის ფიგურასთან, გააცოცხლებს მას და თავის ქმნილებას გოლემს უწოდებს. ლეგენდის ერთ-ერთი ვერსიით რაბინი გოლემს შუბლზე დააწერს სიტყვას თ, რომელიც ჭეშმარიტებას აღნიშნავს. გოლემი ზრდას იწყებს. დგება მომენტი, როცა ბატონი ვეღარ სწვდება. ის გოლემს სთხოვს, ფეხსაცმლის თასმა შემიკარიო. გოლემი დაიხრება, და რაბინი ახერხებს, სიტყვა თ-ის პირველი ასოს წაშლას. რჩება თ — სიკვდილი. გოლემი მტვრად იქცევა.

მეორე ლეგენდის თანახმად, რაბინმა თუ რამდენიმე რაბინმა შექმნეს გოლემი და იგი სხვა რაბინს გაუგზავნეს, იმასაც შეეძლო გოლემის შექმნა, მაგრამ განზე იდგა ამგვარი ამაოებისგან. რაბინი მიმართავს გოლემს, მაგრამ მას არ გააჩნია გაგებისა და ლაპარაკის უნარი. რაბინი წარმოთქვამს: „შენ, ჯადოქრების ქმნილებავ, ისევ მტვრად იქეც“. გოლემი იშლება.

დაბოლოს, შოლემის მიერ ნაამბობი კიდევ ერთი ლეგენდა. უამრავმა მოსწავლემ (ერთ ადამიანს არ შეუძლია შესაქმის წიგნის შესწავლა და გაგება) შესძლო გოლემის შექმნა. ის ქვეყნიერებას ხელში ხანჯლით მოევლინება და თავის შემქმნელთ ემუდარება, მომკალითო, რადგან თუკი იცოცხლებს, შეიძლება თაყვანი სცენ, როგორც კერპს. ისრაელისთვის, ისევე, როგორც პროტესტანტობისთვის, კერპთაყვანისმცემლობა ერთ-ერთი უმძიმესი ცოდვაა. მოწაფეები ჰკლავენ გოლემს.

მე რამდენიმე ლეგენდა გადმოგეცით და მინდა მივუბრუნდე თეორიას, რომელიც საყურადღებოდ მეჩვენება. თითოეულ ჩვენგანში არის ღვთიურის ნაწილაკი. ეს ქვეყანა, როგორც ჩანს, არ არის ყოვლისშემძლე და სამართლიანი უფლის ქმნილება, ის ჩვენზეა დამოკიდებული. ამას გვასწავლის კაბალა, რომელიც შორსაა იმისგან, რომ იყოს ისტორიკოსთა ან ლინგვისტების შესწავლის ობიექტი. ისევე, როგორც ჰიუგოს ცნობილი ლექსი „Cela dit la bouche d’ombre“*, კაბალა ასწავლის თეორიას, რომელსაც ბერძნები ეძახდნენ აპოკატასის, და რომლის თანახმად, ყველა ქმნილება, თვით კაენი და ეშმაკი, ხანგრძლივი გარდასახვის შემდეგ შეერწყმიან ღვთაებას, რომელსაც ოდესღაც განშორდნენ.

** რა იხილა ჩრდილმა (ფრანგ.).*

„ქართული მწერლობა“ №17

სტუმართმოყვარეობის მიცვა

როგორც სეფერ ხასიდიმში წერია, მასპინძელი არ არის ვალდებული თუ მას ამის საშუალება არ გააჩნია სტუმარს განსაკუთრებული კერძები მიართვას, მთავარია მასპინძელმა მიგიღოს სიხარულით, სჯობია სტუმარს მიართვა ბოსტნეული სიხარულით, ვიდრე ხორცი უსიამოვნოდ.

რაბი ისრაელ სალანტერი, არცთუ იშვიათად, ამბობდა, რომ ხშირად ესმოდა თუ როგორ ეძახდნენ სალოცავიდან გამვლელებს: „კდუშა, კდუშა (ლოცვა). შემოდი, შემოგვიერთდი!“, მაგრამ არასოდეს სმენია ადამიანების შესახებ, რომლებიც ჭამის დროს ეძახდნენ ვინმეს „საჭმელი, საჭმელი, მოდი, შემოგვიერთდი!“

ევროპის ბევრ ქალაქში შექმნეს გაერთიანება, რათა ეზრუნათ სხვა ქალაქიდან ჩამოსულ სტუმრებზე. ერთხელ ბრისკში (ბრესტი) ასეთი გაერთიანების ხელმძღვანელმა გადაწყვიტა, რომ ამ ტვირთს ვეღარ ზიდავდა — ძალა აღარ მყოფნის და გაერთიანება უნდა გავაუქმოო, ბრისკის რაბი სოლოვეიჩიკმა ხელმძღვანელი მოიხმო და უთხრა: „თუ შენ გაერთიანებას გააუქმებ, მე ღამე ძილი აღარ მექნება. ბრისკი არის ქალაქი რკინიგზის სადგური, მისი გავლით ბევრი ებრაელი მგზავრობს, ბრისკის ყველა მცხოვრებს აკისრია მოვალეობა — არც ერთი ჩამომსვლელი არ დარჩეს მშიერი. როცა ამაზე გაერთიანება ზრუნავს, მე შემიძლია მშვიდად ვიძინო, მაგრამ თუ ასეთი გაერთიანება აღარ იქნება, შუაღამისას სადგურზე უნდა ვიარო, რათა შევამოწმო, ხომ არ არის რომელიმე მგზავრი შემდეგი მატარებლის მოლოდინში და თუ არის, წავიყვანო ჩემთან სახლში“. გაერთიანების ხელმძღვანელმა საქმიანობის გაგრძელება გადაწყვიტა.

თქვენ შეგიძლიათ შეასრულოთ სტუმრების მიღების მიცვა იმ შემთხვევაშიც კი, თუ არ გაქვთ სახლი: თუ იცით, რომ ვიღაცას ღამის გასათევი ესაჭიროება, შეეცადეთ იპოვოთ, ადამიანი, რომელიც თანახმა იქნება მას მასპინძლობა გაუწიოს.

როცა რაბი ზალმან მელცერს კარზე კაკუნი ესმოდა, იგი სირბილით აღებდა კარს. ჰკითხეს, რატომ იწუხებს თავს ასე, კარს ჩვენც გავაღებთო. მან უპასუხა: „სწრაფად უნდა გააკეთო ის, რაც სხვას სჭირდება“.

ერთხელ რაბი ზალმან მელცერს ვიღაცამ უთხრა; „შენს სახლს ხაზონ იში უახლოვდება!“ რაბი მელცერი ცნობილი თალმიდ-ხახმის შესახვედრად გაიქცა, მაგრამ მაშინვე დაინახა, რომ სახლს უახლოვდებოდა ადამიანი, რომელიც გარეგნულად ჰგავდა ხაზონ იშს. მიუხედავად ამისა, რაბი მელცერმა სტუმარს დიდი ყურადღება მიაქცია: შინ მიიწვია და მორიდებით ჰკითხა, თუ რისი გაკეთება შეეძლო მისთვის — იქნებ, სურდა ნამცხვარი, ჩაი ან სადილი? სტუმარი ასეთი მიღებით ძალიან შემცბარი იყო და ხმადაბლა თქვა, რომ არანაირად არ სურს იეშივის ხელმძღვანელის შეწუხება, სურს კია მიიღოს სარეკომენდაციო წერილი და შეაგროვოს ფული თავისი ქალიშვილის ქორწილისათვის.

რაბი მელცერმა მაშინვე დაწერა კარგი წერილი, სტუმარი მხურვალედ დალოცა და წარმატება უსურვა, ქუჩამდე გააცილა. შინ რომ მობრუნდა, ოჯახის წევრებმა გაოცებით ჰკითხეს, თუ რატომ სცა ასეთი პატივი ამ ადამიანს.

მან უპასუხა: „სტუმრის მიღება მნიშვნელოვანი მიცვაა, ყოველ ადამიანს უნდა მიაგო ისეთი პატივი, როგორ პატივსაც მამა აბრაამი სცემდა თავის სტუმრებს, მაგრამ ჩვენ ხშირად ვერ ვასრულებთ ამას და ყურადღებას მხოლოდ განსაკუთრებულ სტუმრებს ვაქცევთ, ამჯერად მე ხაზონ იშის შესახვედრად ვემზადებოდი, მის მაგიერ სხვა მოვიდა, განა, ეს მიზეზია, რომ არ ვცეთ მას სათანადო პატივი?“

ევროპაში ქალაქ პრესნიცში ცხოვრობდა მდიდარი რაბი ჰირშ ირვიცი — ხათამ სოფერის ცოლის ძმა. იგი ოჯახში ეპატიჟებოდა ყველა ღარიბ მოგზაურს, რომლებიც შაბათს მის ქალაქში აღმოჩნდებოდნენ, ღარიბები ისხდნენ საშაბათო მაგიდასთან მის ხელმარჯვნივ და ხელმარცხნივ, თავად კი მაგიდის სათავეში. ერთხელ ირვიცის სახლში სამუშაოდ ახალი მოსამსახურე მივიდა, რომელმაც არ იცოდა ოჯახის ჩვეულება და ღარიბებისთვის სკამები მაგიდის შორეულ კუთხეში დადგა, სალოცავიდან სტუმრებთან ერთად დაბრუნებულმა რაბი ჰირშმა დაინახა, თუ როგორ ელაგა სკამები და კიდუშის ჭიქა და ხალები მაგიდის მეორე ბოლოში გადაიტანა, ამით მაგიდის ბოლო სათავედ გადააქცია (ხატამ სოფერის ისტორია).

თალმუდი გვასწავლის, რომ სტუმრების მიღება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ჰაშემთან ლაპარაკი.

გიყვარდეს ვიღაცის შვილები — იმიტომ რომ გიყვარს ის ადამიანი, ეს არის უფრო ძლიერი სიყვარულის გამოვლინება, ვიდრე მხოლოდ მათი მამის სიყვარული. მოცემულ შემთხვევაში ჰაშემის სიყვარული ვლინდება უფრო ძლიერად. ამის გარდა, სხვისთვის სიკეთის გაკეთებით, თქვენ ბაძავთ ჰაშემს. დაემსგავსო ჰაშემს უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ელაპარაკო მას. (რაბი ნოახ ვაინბერგი)

თუ გაიგებთ, რომ თქვენს მეზობელს სტუმრები ჰყავს, და საწოლები არ ყოფნის, თქვენ კი ზედმეტი გაქვთ, შესთავაზეთ, რათა შეძლოს სტუმრების მიღება.

კოცკელ რაბი მენახემ მენდელმა თქვა: „როცა ადამიანთან მიდის სტუმარი, მანამ სანამ იზრუნებს სუფრაზე, უნდა იზრუნოს მისთვის ღამის გასათევზე, მაშინ სტუმარი სიამოვნებას ტრაპეზაზე მიიღებს და არ შეაწუხებს იმაზე ფიქრი, თუ სად დაიძინებს“.

რაბი ლეიბ ხასმანი გვიამბობს, რომ ერთხელ პარასკევ საღამოს ხაფეც ხაიმის სახლში სტუმრობდა, ჩვეულებრივ შალომ ყალეხემის ნაცვლად, რომლითაც შაბათის შემობრძანებას ხვდებიან, ხაფეც ხაიმი ჭამას შეუდგა. რაბი ხასმანმა ხაფეც ხაიმს ჰკითხა, თუ რატომ გადაუხვია ჩვეულებას.

„თქვენ ალბათ, უკვე მშიერი ბრძანდებით — უპასუხა ხაფეც ხაიმმა — ამიტომაც სწრაფად მოგეცით ჭამის საშუალება. ანგელოზები (რომელთაც სიმღერით „შალომ ყალეხემ“ მივესალმებით) არ არიან მშივრები, მათ ლოდინი შეუძლიათ“.

„მე ავიღებ პურის ნაჭერს“ (ბერეშითი 18;5)

უცხოელ ტურისტთა ჯგუფი იერუშალაიმში ფესახის დღესასწაულზე ჩავიდა. მათ რაბი იოსეფ ხაიმ ზონენფელდს სთხოვეს სტუმრად მიეღოთ და განაცხადეს საკვების თანხას თავად გადავიხდითო, რაბი ზონენფელდი დათანხმდა და მათივე თანდასწრებით თანხა გადასცა მეუღლეს. ცოლი ძალიან გაკვირვებული იყო, იმით რომ რაბი დათანხმდა მიეღო ეს ფული, ადრე არასდროს იღებდა თანხას სხვისი დახმარებისთვის. სტუმრები კმაყოფილნი იყვნენ, რომ შეძლებდნენ რაბისთან სედერზე დასწრებას. ხოლ-ამოყედის (როცა ნებადართულია ყველაფრის კეთება) პირველ დღეს, სტუმრები აღნიშნავდნენ დღესასწაულის მეორე დღეს, (რადგან საზღვარგარეთ მცხოვრები ებრაელები აღნიშნავენ ორ დღეს) სასტუმროში, სადაც ისინი გაჩერდნენ. მათ გასაკვირად რაბი ზონენფელდი მათ ნომერში აღმოჩნდა და სუფრის ქვეშ დადო ფული, რომელიც მათ მისცეს, რადგან მათთვის დღესასწაული ჯერ არ იყო დასრულებული, არ შეეძლოთ ფულთან შეხება, რომ დაებრუნებინათ. სტუმრები სთხოვდნენ ფული უკან წაეღო, რადგან მან ეს ფული მიიღო და უკვე მისი იყო. „მართალია — თქვა რაბი ზონენფელდმა — მე დავთანხმდი, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ თავი თავისუფლად გეგრძნოთ და გეჭამათ იმდენი, რამდენიც გსურდათ და არ გეფიქრათ, რომ მე დამაკლებდით. (მორე დერეხ ისრაელ)

როცა ადამიანს სტუმარი ჰყავს ის არ უნდა ბრაზდებოდეს შინაურებზე, იმ შემთხვევაშიც კი თუ მიზეზი აქვს იმიტომ, რომ სტუმარმა შეიძლება თავის თავზე მიიღოს. (დერეხ სლულა)

„გაიქცა აბრაამი საქონელთან, ამოირჩია საუკეთესი ხბო და მისცა იგი ახალგაზრდა ყმაწვილს. ის გაეშურა ხბოს მოსამზადებლად“ (ბერეშითი 18; 7).

რაში იშველიებს მიდრაშის ციტატას (ბერეშით რაბა 48;13) რომლის თანახმადაც, „ახალგაზრდა ყმაწვილი“ იშმაელი იყო. აბრაამმა ხბო მას მისცა, რათა ყმაწვილი მიჩვეოდა მიცვების კეთებას. ხაფეც ხაიმი წერს, რომ უნდა გვახსოვდეს: არაა საკმარისი მარტო შენ აკეთო ხესედი (მადლი), საჭიროა ბავშვებიც მიაჩვიოთ სიკეთის კეთებას. (აჰავათ ხესედ)

„აიღო მან (აბრაამმა) კარაქი, რძე და ხბო, რომლებიც მოამზადა და დადო მათ წინ, და იდგა მათ წინ ხის ქვეშ, და ისინი ჭამდნენ“. (ბერეშითი 18;8)

მიუხედავად იმისა, რომ აბრამს ბევრი მსახური ჰყავდა და თვითონ ბრით მილის მერე თავს ცუდად გრძნობდა მოიწადინა, თვითონ გაეკეთებინა მიცვა სტუმრებისთვის.

როცა ხაფეც ხაიმის შინაურებმა დაინახეს, სტუმრისთვის როგორ ამზადებდა საწოლს, თქვეს, რომ შეწუხება საჭირო არ არის და ისინი ყველაფერს თვითონ გააკეთებენ. „როცა ჯერი თეფილიმის დადების მიცვამდე მივა, მაშინაც მეტყვით, რომ მას ჩემს მაგიერ გააკეთებთ? რომ მე არ შევწუხდე“ — იკითხა ხაფეც ხაიმმა.

ესთერ ანტოშვილი
თბილისის გოგონების სემინარის სტუდენტი -
აჰარონ მდინარაძე
თბილისის სალოცავის „ბეით რახელ“ ხახამი

შემოდგომის სამი ლამაზი დღე

„ბაკურიანი-2011“

„შაბატონი“ – ეს ბაკურიანში 28-31 ოქტომბერს გამართული ბავშვთა საშემოდგომო ბანაკის სახელწოდებაა. ბანაკი ებრაული კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდის დირექტორის — ელენე ბერკოვიჩის თაოსნობითა და მხარდაჭერით ამოქმედდა. ეს იყო სამი დაუვიწყარი დღე ჩემი და ჩემი შვილის ცხოვრებაში. არა მარტო ჩვენი, არამედ იმ ბავშვებისა და მათი მშობლების მეხსიერებიდან ალბათ, არასდროს წაიშლება ამ ყველაფრის მშვენიერებით ტკბობა.

ბანაკის მთელი პერსონალი, განსაკუთრებით ენერგიული და დაუღალავი დირექტორი — ზაზა მამულაშვილი, უმცირესი დეტალების გათვალისწინებით მაქსიმალურად ზრუნავდნენ ჩვენი და ჩვენი შვილების სრულფასოვანი დასვენებისათვის.

ბანაკის თითოეული დღე დატვირთული იყო სხვადასხვა საგანმანათლებლო, გასართობი თუ სპორტული პროგრამებით, რომლებიც თავადვე შეიმუშავეს მადრიხებმა: ანა მილაძემ, ალექსანდრე აბაევმა, სტანისლავ ზასლავსკიმ, ლია მეგრელიშვილმა, ყველასთვის საყვარელმა ლამარამ, ნინამ და გიორგიმ. მოეწყო საინტერესო საუბრები ებრაულ რელიგიასა და ისტორიაზე, ებრაულ თემატიკაზე, შაბათის შეხვედრა, მართლაც ულამაზესი იყო სანთლების ანთება, კურთხევა, ლოცვები, შაბათის სედერი, მრავალფეროვანი ვახშამი და დიდი მხიარულება.

გამოსამშვიდობებელი საღამო გვიან ღამემდე გაგრძელდა. იყო სიმღერები, ცეკვები. გრანდიოზული კონცერტი დამეგობრებული მოზარდები და მშობლები კვლავ ერთად დასვენების იმედით ემშვიდობებოდნენ ერთმანეთს.

მადლობა ყველას (განსაკუთრებით ქალბატონ ელენე ბერკოვიჩს), ვინც ბავშვებს და მათ მშობლებს ესოდენ დაუვიწყარი, განუმეორებელი სიხარული და სიამოვნება აჩუქა.

დასრულდა „ბაკურიანი-2011“ თუმცა, არ დასრულებულა დაუვიწყარი მოგონებები.

ლილი მაღალაშვილი
9 წლის თამარ ზუბაშვილის მშობელი

სამეცნიერო კონტაქტები

მოხსენება ფესახის აგადის თაობაზე

ამ დღეებში თბილისში იმყოფებოდა ისრაელის ქალაქ არიელის საუნივერსიტეტო ცენტრის პროფესორი რეუვენ ენოხი (ენუქაშვილი).

ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა ბ-ნ რეუვენ ენოხს და ესაუბრა ვიზიტის თაობაზე.

რეუვენ ენოხი: ამ დღეებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა ქართველოლოგიის რიგით მეექვე საერთაშორისო სიმპოზიუმი. მე ამ სიმპოზიუმის მონაწილე გახლდით. წავიკითხე მოხსენება ფესახის აგადის ტრადიციული ქართული თარგმანის შესახებ. ეს არის თარგმანი, რომელიც ზეპირი გზით საუკუნეების განმავლობაში ქართველ ებრაელთა შორის თაობიდან თაობას გადაეცემოდა. ეს მოხსენება შემთხვევითი არ ყოფილა, რადგანაც ამ საკითხთან დაკავშირებით წიგნის გამოცემას ვაპირებ. იერუშალაიმის უნივერსიტეტს უკვე გადავეცი წიგნი გამოსაქვეყნებლად, იმედი მაქვს, არ დამიწუნებენ და მალე დაიბეჭდება. გამოქვეყნდება ქართული თარგმანის სამი ვარიანტი, ორი ტრადიციული, ძალიან ძველი, XI-XII საუკუნეებში შესრულებული თარგმანი და ერთიც — ახალი თარგმანი. მოგეხსენებათ, საბჭოთა პერიოდში ყველაფერი აკრძალული იყო, რაც ებრაელობას შეეხებოდა. აგადის თარგმანის იატაკქვეშა გამოცემა არსებობდა, თუმცა, რთულია მას გამოცემა უწოდო, რადგან ეს იყო მანქანაზე გადაბეჭდილი ტექსტი, რომელსაც ხელახლა ათასჯერ ბეჭდავდნენ. ამ საქმის გაკეთება მაშინ ძალიან საშიში იყო, მაგრამ ამის მიუხედავად, თავგადადებულმა ადამიანებმა, რომელთა სახელებიც ჩემთვის სამწუხაროდ, უცნობია, შეძლეს ამ ყველაფრის გაკეთება და თარგმანის ერთი ეგზემპლარი ჩემს ოჯახშიც მოხვდა. სწორედ ამ ეგზემპლარსაც გამოვცემ. ძალიან საინტერესო ტექსტია, რადგან დასაწყისი, დაახლოებით სამი გვერდი, არის ტრადიციული თარგმანის ვარიანტი, დანარჩენი კი მთლიანად თანამედროვე ქართულზეა ნათარგმნი. როგორც ჩანს, ან მიდგომა შეიცვალა, ან ის პირები, ვინც ამ საქმეს აკეთებდნენ. ამ წიგნში ვრცლად არის საუბარი იმის შესახებ, თუ როდის უნდა ყოფილიყო ნათარგმნი ეს ვარიანტი. რა გავლენებია ძველი ქართული ენისა და ივრითისა. სწორედ ამ საკითხების საფუძველზე გავაკეთე მოხსენება სიმპოზიუმზე — აგადის თარგმანის მნიშვნელობის შესახებ ქართული ენის ისტორიისათვის. ზოგიერთი ისეთი სიტყვაა გამოყენებული, რომელიც „ვეფხისტყაოსანში“ მხოლოდ ერთხელ გვხვდება და ამ თარგმანშიც იგივე სიტყვაა გამოყენებული. ერთი მეორეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, ზურგს უმაგრებს, ვხვდებით, რომ შემთხვევითი სიტყვები არ არის და იმ დროს ქართული ენის საუნჯეში იყო. ჩემი მოხსენებით სიმპოზიუმი დაინტერესდა. ამით ძალიან გავიხარე. სიმპოზიუმს არა მარტო მეცნიერები, სტუდენტები, სხვა სფეროს წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. ქართულ-ებრაულ მასალაზე მუშაობას ახლაც ვაგრძელებ.

— რამდენი ხნის განმავლობაში იმყოფებოდით საქართველოში?

— ორი დღით ვიყავი სიმპოზიუმზე ჩამოსული. ხვალ სიღნაღში გამსვლელი სხდომა გვაქვს. მოხდება მთელი სიმპოზიუმის შეჯამება, შედეგების განხილვა და სამომავლო პერსპექტივების დასახვა. კვირას საქართველოს დავტოვებ.

— ვინ იყო თქვენთან ერთად ჩამოსული სიმპოზიუმზე?

— უნდა ჩამოსულიყო პროფესორი კოტე ლერნერი, მაგრამ ჯანმრთელობის გაუარესების გამო ვერ შეძლო. ბოლო ხანს მეორე კონფერენცია იყო, რომელშიც მივიღეთ მონაწილეობა. თელავის უნივერისტეტში ჩატარდა დიდი სამეცნიერო კონფერენცია და იქაც მქონდა მოხსენება წარდგენილი, მაგრამ საკმაოდ საპატიო მიზეზების გამო, სამწუხაროდ, ვერ ჩამოვედი და კონფერენციაში მონაწილეობა ვირტუალურად მივიღე. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო თელავის კონფერენციის ორგანიზატორებს, რადგანაც ძალიან მაღალი რანგის წარმომადგენლებთან ერთად უნდა გამოვსულიყავი.

ისრაელელ-უკრაინელმა ოლიგარქებმა ევროპის ებრაელები გააბრაზეს

ევროპის ებრაელების კავშირმა განაცხადა მისი მიზნის — 120-ადგილიანი ებრაული ევროპარლამენტის შექმნის შესახებ. იდეის ავტორების — უკრაინელი ებრაელი ოლიგარქების — იგორ კოლომოისკისა და ვადიმ რაბინოვიჩის გეგმით — პარლამენტში ევროპის 54 ქვეყნის წარმომადგენლები უნდა იყვნენ. კანდიდატების სიაში მოხვდნენ, არა მარტო პოლიტიკოსები და ბიზნესმენები, არამედ მსახიობები, სპორტსმენები, მათ შორის ანსტისემიტი ბორატი (ბრიტანელი-ებრაელი კომიკის საშა ბარონ ქოენის ერთ-ერთი პერსონაჟი). ცნობილ პიროვნებებს შორის არიან: ფეხბურთელი დევიდ ბექჰემი, ესპანელი მომღერალი ხულიო იგლესიასი, მწერალი ელი ვიზელი და მსახიობი მორან ატიასი.

ევროპის ბევრი ცნობილი ებრაელი, თავისი გვარის სიაში აღმოჩენის შემდეგ, გაოცებული დარჩა, რადგან თანხმობა მათი კანდიდატურის წამოყენებაზე არ მიუციათ. ბევრ მათგანთან, მათივე სიტყვებით, ამ თემაზე არავის უსაუბრია. ათობით „კანდიდატმა“ გაგზავნა წერილი, იმის მოთხოვნით, რომ დაუყოვნებლივ ამოიღონ მათი სახელები კანდიდატების სიიდან, - წერს „kupcop“.

ევროპის ებრაულმა ორგანიზაციებმა გამოაქვეყნეს სპეციალური განცხადება ევროპის ებრაული პარლამენტის საკითხთან დაკავშირებით. „ცოტა ხნის წინ ჩვენ დაგვიკავშირდა ორგანიზაცია, რომელიც საკუთარ თავს „ევროპის ებრაელების ასოციაციად“ ასახელებდა. როგორც გავიგეთ, ამ ორგანიზაციის, ისევე როგორც პარლამენტის, შექმნის ინიციატივის უკან, ორი უკრაინელი ბიზნესმენი დგას. გაუგებრობის ფონზე ჩვენ გვსურს გავარკვიოთ, რომ ჩვენ ვართ არჩეული დემოკრატიული ორგანიზაცია, რომელიც ევროპაში ებრაულ სათემოებს წარმოადგენს და არანაირად არ ვართ დაკავშირებულნი ინიციატივასთან და არ ვუჭერთ მას მხარს,“ — განაცხადა ორგანიზაციამ „ხა-კარიფის“ წარმომადგენელმა, რომელიც საფრანგეთის, საბერძნეთისა და იტალიის ებრაელებს წარმოადგენს.

რედაქციისაგან: ამ საკითხზე „მენორას“ წინა ნომერში მოთავსებული ინფორმაციის შემდეგ რედაქციას დაუკავშირდა ხახამი აჰარონ მდინარაძე და გვთხოვა მკითხველისთვის გვეუწყებინა: მას პარლამენტის წევრობის კანდიდატად საკუთარი თავი არ წაუყენებია და ამ პარლამენტის თაობაზე არაფერი იცის.

კაცავი ცისკენაც პენსიას მიიღებს

10 ნოემბერს, უზენაესმა სასამართლომ ექს-პრეზიდენტის — მოშე კაცავის სარჩელი არ დააკმაყოფილა. ამ გადაწყვეტილების შემდეგ, ყოფილი პოლიტიკოსი, რომელიც დამნაშავედ სცნეს გაუპატიურებაში, 7 წლიან პატიმრობასთან ერთად, ვეღარ ისარგებლებს იმ შეღავათებით, რომლებიც მას სტატუსით ეკუთვნოდა.

გადასახადების გადამხდელებს ეს ყოველწლიურად ასეულ ათასობით შეკელი უჯდებოდათ.

ამავდროულად, მოშე კაცავს შეუჩერებენ კირიათ-მალახში მდებარე სახლის დანახარჯების დაფარვასაც, რომელიც სახელმწიფო ხაზინიდან ფინანსდებოდა. ამ თანხებს ექს-პრეზიდენტს მას შემდეგ უხდიდნენ, რაც იერუსალიმში სახელმწიფო ბინის მიღებაზე უარი განაცხადა, — აღნიშნავს რადიოსადგური „რეშეთ ბეთ“-ი.

კაცავი სახელმწიფო ავტომობილის ან მძღოლის დაფინანსების გარეშეც დარჩება. მას, ასევე, ჩამოართვეს ოფისის საარენდო გადასახადის, პირადი მდივნის, ყოფილი პრეზიდენტისა და მისი მეუღლისთვის განკუთვნილი სამედიცინო დაფინანსება, პრესისა და საფოსტო გადასახადები და სხვა.

თუმცა, ექს-პრეზიდენტი, ყოველთვიურად პენსიას მაინც დიდ თანხას მიიღებს — დაუბეგრავად 50 ათას შეკელს.

დამფუძნებელნი და გამომცემელნი:
გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე
თბილისი, ლეონიძის 11ᵃ, ვახტანგ VI ქ. №30
ტელეფონები: 99.90.96, 77.20.57

რეგისტრირებულია ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს მიერ. რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი
გურამ ბათიაშვილი
ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 მ-557
9771987898003